

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის განცხადება

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 8-13 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სიბოლო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

„ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

ბათუმში ე.წ. ოცნების ქალაქში მცხოვრებ 582 ოჯახს საცხოვრებელი ბინები გადაეცა მიმდებარე ტერიტორიაზე აგებულ სამ თორმეტსართულიან კორპუსში. ბინის მფლობელები მათთვის განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა.

მასშტაბური სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 38 მილიონ ლარზე მეტი იყო გათვალისწინებული.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ესწრებოდნენ პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში ბინების გადაცემის ცერემონიას. პრემიერმა შეკრები-

ლებს მნიშვნელოვანი სიახლე მიულოცა, პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მოსახლეობას მხარდაჭერა კიდევ ერთხელ აღუთქვა.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა 582 ოჯახისთვის, რომლებსაც დღემდე ძალიან რთულ პირობებში უწევდათ ცხოვრება. მათ შორისაა 800 ბავშვი. ეს ბინები საკუთარი სახსრებით ააშენა სახელმწიფომ იმისათვის, რომ დახმარებოდა მოქალაქეებს. პრობლემა, რომელიც დაგვიტოვა წინა ხელისუფლებამ, ეტაპობრივად გვარდება. რა თქმა უნდა, ამით არ სრულდება ეს პროექტი. დაგეგმილია კიდევ 1000-ზე მეტი ოჯახის დაკმაყოფილება ბინებით და ეს პროექტიც გაგრძელდება უახლოეს მომავალში. უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ოჯახი შესაბამისი საცხოვრებ-

ბელი სივრცით, რაზეც უკვე დაწყებულია მუშაობა. კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ოცნების ქალაქში“ მცხოვრებთ ახალი ბინები მიულოცა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

- დასრულდა „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პირველი ეტაპი. დღეიდან 582 ოჯახი ღირსეულად გააგრძელებს ცხოვრებას. ეს არ არის ამ პროექტის ბოლო ეტაპი. ჩვენ ვაგრძელებთ მშენებლობას, ისე, რომ აქაურთა გაზღვრის ახდენილი ოცნების ქალაქი. ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა გეგმავთ, - სკოლა, საბავშვო ბაღი, სარეკრეაციო სივრცეები, რომ ღირსეულად იცხოვროთ. ღირსეულად იცხოვროთ ჩვენმა მოსუცებმა, ბავშვებმა და ზრდასრულებმა. ჩემთვისაც ძალიან ბედნიე-



რი და მნიშვნელოვანი დღეა. ძალიან კარგად მახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ თქვენ წინაშე ვიდექი და მოგვით ამ პრობლემის მოგვარების დაპირება. დღეს მიხარია, რომ ეს პირობა შესრულებულია. მომავალშიც გაგრძელდება თითოეული თქვენგანზე ზრუნვა. დღეიდან აქ ძალიან ბევრი ადამიანი ღირსეულად და ბედნიერად იცხოვრებს და ამ პროექტის დასრულება იქნება ნამდვილი ახდენილი ოცნება. დარწმუნებული ვარ, რომ დაგვიწყდებათ ის წლები, რომელიც გაუსაძლის პირობებში გაატარეთ. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დღევანდელი დღე, მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს და ყველა პარტნიორს, რომელთან ერთადაც შევძელით ამ პროექტის განხორციელება, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ღონისძიების დასასრულს პრემიერ-მინისტრმა მრავალშვილიან ოჯახს ახალი ბინის გასაღები გადასცა.

ბათუმს ახალი, საერთაშორისო სტანდარტების დახურული სპორტული კომპლექსი ექნება

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, ბათუმში ვიზიტისას, ახალი, საერთაშორისო სტანდარტების დახურული სპორტული კომპლექსის - ყინულის არენის და საცურაო აუზის მშენებლობის პროექტის დეტალებს გაეცნო.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა. პროექტის ფარგლებში, ყინულის არენა და ორი აუზი საერთაშორისო ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ყინულის მოედანი 2025 წელს ახალგაზრდულ ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს.

ყინულის სასახლეს დაემატა მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი, გარდა ამისა, მთავარი აუზი 33-ის ნაცვლად, 50-მეტრიანი იქნება.

მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, ბათუმს ახალი, თანამედროვე სტანდარტების, 1500 მაყურებელზე გათვლილი ყინულის სასახლე და 800 მაყურებელზე გათვლილი საცურაო აუზი ექნება.



ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამორიწე რატი გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით

თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

გაამართლებს თუ არა ოპოზიციის ბაირონიანების მორიბი მსდელობა?

თამარ ლამბარაძე 595 85 80 06

მიმდინარე კვირა კვლავ პოლიტიკურად აქტიურია. მიმდინარეობს პრეზიდენტის „ქართულ ქართლზე“ ხელის მოწერა, რასაც დაემატა ლეგტიმობის დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები და რა გავსაყვით, აქციები თითქმის არ წყდება

პრეზიდენტის ქოლგის ქვეშ გავრცელებული კვლავ გრძელდება. პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძის თქმით, თუ დაგვიკვირდება, ეს ნაცნობი სცენარია, ოპოზიციამ წარსულიდან ვერაფერი ისწავლა, იგი კოლექტიური „ნაცემობაა“, ვინაიდან ოპოზიციური პარტიები ერთ ქვაბში აღმოჩნდა.

„ზოგადად, როცა რაიმე პროექტი ჩავარდება, იმის თავიდან დაწვება არ არის ხოლმე მოგებული. თქვენ გახსოვთ, ეს პროექტი არსებობდა ადრეც და მას უწოდებდნენ ნათელაშვილის ფანჯარას და ამის რეინკარნაცია შემოგვთავაზა ახლა სალომე ზურაბიშვილმა. რეალურად, სალომე ზურაბიშვილმა შექმნა უცხოელი აგენტების პარტიული რეგისტრირება არაფერი შეიძლება ეწოდოს იმ სახს, რომელიც შედგა სალომე ზურაბიშვილის რეზიდენციაში“, - თქვა კობახიძემ.

ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ოპოზიციის მორიბი მსდელობა განწირული პროექტია, თუმცა ამ განცხადებების ფონზე 17 პარტია და 5 დამოუკიდებელი დეპუტატი მაინც გააერთიანა სალომე ზურაბიშვილმა და ამით ხელმოწერაც დასრულდა. „ქართულ ქართლზე“ ხელი არ მოაწერა ვახაჩიას პარტიამ „საქართველოსთვის“, რასაც ასეთი გამაფრთხილებელი ინტერესით ელოდნენ ქართულ პოლიტიკურ სფეროში.

„კონსულტაციების შედეგად პოზიციები ვერ შევრდა და აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ ამ ქართლისთვის ხელი არ მოგვეწერა“ - ასე გამოეხატა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ დაუშვილი აღნიშნულ საკითხს.

ოპოზიციის ამბობენ, რომ პოლიტიკური გემოვნება მეორეხარისხიანია, როცა ქვეყნის მომავალი საფრთხის წინაშეა.

„ქართული ნამდვილი არის იმის წინაპირობა, რომ ოპოზიციური პარტიები შეთანხმდნენ პრინციპულ საკითხებზე. პრინციპულია, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის და ნატოს წევრი, ასევე, პრინციპულია, რომ ამ არჩევნებზე ერთმანეთის ხმები უნდა დავიცვათ და ამ მიმართულებით მჭიდრო კომუნიკაცია აუცილებელია“, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა პაატა მანგალაძემ.

რაც შეეხება აჭარის მკვიდრ პოლიტიკოსებს, პარტია „ახალი“ ერთ-ერთი ლიდერის, მირდატ ქაშიაძის თქმით, ქართლში ყველა პუნქტი არ არის სრულყოფილი, მსჯელობა სჭირდება. ის აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის ქართლის რიგ საკითხებში თანხმდებიან ის პარტიები, რომლებსაც წარსულში ერთმანეთი-

სგან განსხვავებული აზრი გააჩნდათ.

„ლელოს“ წევრ ვაჟა დარჩიას თქმით, აღნიშნული პარტია ქვეყნის ევროპული მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, უკვე ოპოზიციის გადსულმა საქართველოს პრეზიდენტმა ოპოზიციური პარტიების გაერთიანებისთვის ორბელიანის სასახლის კარი გააღო და თავი მოუყარა იმ ადამიანებს, რომლებიც



ერთმანეთს ებრძოდნენ.

ამ კვირაში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ კანონების პაკეტი დაინიშნა, რომელიც შედგება ერთი ძირითადი კანონპროექტისგან - „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ და 18 დამომდინარე კანონპროექტისგან, რომლებიც ცვლილებების შედის სხვადასხვა კანონში, სამოქალაქო კოდექსში, შრომის კოდექსში, განათლების შესახებ კანონმდებლობაში.

ცვლილებების მიხედვით, ქორწინების ალტერნატიული კავშირი არ დარეგისტრირდება, კანონით დაუშვებელი იქნება შვილის აყვანა იმ პირთათვის, რომლებიც თავს მათი რეალური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნიებენ, აკრძალულია პროპაგანდა განათლების სექტორში, დაუშვებელია დაუშვებლის ეთერით ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც პოპულარიზაციას უწევს რეალური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის ადამიანის მიუთვინებას, ერთსა და იმავე სქესში წარმომადგენლებს შორის ურთიერთობას ან ინცესტს, დაუშვებელი იქნება საჯარო შეკრება ან მანიფესტაცია, რომელიც ემსახურება ადამიანის თავისი სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიუთვინებას, როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებებში ბათილი იქნება შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ისეთი ვალდებულება, რომელიც მიმართულია ბიოლოგიური სქესის უგ-

ულებელყოფისკენ.

„ძალიან მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ადამიანის უფლებების დაცვა და პროპაგანდა. საქართველოში ადამიანის უფლებები არის დაცული და მკაცრად უნდა იყოს დაცული. ეს ეხება ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად ცხოვრების წესისა, მაგრამ რაც შეეხება პროპაგანდას, არის მიუღებელი და ის კანონპროექტი, რომელიც დაინიშნა-



და, სწორედ პროპაგანდას ეხება“, - აღნიშნა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

ოპოზიციის არც ეს ცვლილებები მოსწონს. მათი მტკიცებით, ეს მმართველ პარტიას საარჩევნოდ სჭირდება და ხელისუფლების ინტერესის სფერო არც ოჯახური ღირებულებებია და არც არასრულწლოვანთა დაცვა.

„ივანიშვილს რომ ადარდებდეს და აღელებდეს საქართველოს კონსტიტუციას, უპირველეს ყოვლისა, დაიცავდა მის 78-ე მუხლს. მას სურს მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება, მათ შორის გამოგონილი ფსევდოთემების პედალირებით და ადამიანებისთვის თავზე მოხვევით“, - ასე აფასებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თინა ბოკუჩავა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ კანონების პაკეტს.

საქართველოში არ ცხრება აქციების მუხტი. რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ აქციაცონცერტი, სადაც „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ შეკრებილ მოქალაქეებს მუსიკოსებიც შეუერთდნენ და საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარეს. შეგროვდა 348 000 ლარი, რომლითაც კანონის საწინააღმდეგო აქციებზე დაჯარიმებულ ადამიანებს დაეხმარნენ.

5 ივნისს პარლამენტის წინ გაიმართა აქცია სახელწოდებით „დალაღე რეჟიმი!“. რუსთაველის გამზირზე მოძრაობა „დაფიონის“ წევრები შეიკრიბნენ. ახალგაზრდები „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებებს აპროტე-

სტებდნენ. ამბობდნენ, რომ „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, რომელიც მათ ცოტა ხნის წინ მიიღეს, ქვეყანას დასავლეთს აშორებს და რუსეთისკენ მიჰყავს. მათი თქმით, გაჩერებას არ აპირებენ და ბრძოლას გამარჯვებამდე გეგმავენ.


- ხელისუფლების დაღლა შეუძლებელია და ეს კარგად უნდა იცოდეს იმან, ვინც ამ მიზნისთვის თავს იღლის, - ასე აფასებენ მმართველ გუნდში თბილისში გამართულ აქციას. საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ აქციის ორგანიზატორები უშედეგოდ ცდილობენ, ყალბი ინფორმაციული ველი შექმნან და პროტესტს ახალი მუხტი შესძინონ.

ჩვენ დავინტერესდით, რა ხდება ბათუმურ აქციებზე.

ბათუმში აქციების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თემო ტარიელაძემ გვითხრა:

„აქციები, მარშები, გაფიცვები პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა. ჩვენ ამ კუთხით დავდეთ შედეგი. ჩვენმა მეგობრებმა ნახეს, რომ საქართველოში მათ აქვთ საყრდენი, რომ ჩვენი არჩევანი არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ასევე, დავანახეთ კრემლს, რომ ის, რაც მას გაუვიდა ბელარუსში, არ გაუვა აქ. ახლა კი ძალიან მნიშვნელოვანია, პროტესტი მიგმართოთ ქვეყნის შიგნით და ამ საპროტესტო მოძრაობაში ჩავართოთ საქართველოს ყველა მოქალაქე. ჩვენ უნდა მოვეშალოთ არჩევნებისა და ხმების დაცვისთვის. ხელისუფლება, რომელიც არ ითვალისწინებს ხალხის აზრს, არ შეიძლება, წარმოადგენდეს ხალხს. აუცილებელია, არ მივატოვოთ ერთმანეთი ამ ბრძოლაში და საბოლოო შედეგი საარჩევნო ყუთებთან მისვლით ოფიციალურად გავაფორმოთ ისე, როგორც ევროპულ ქვეყანასა და ევროპის მოქალაქეებს შეეფერებათ.“

დაველოდოთ პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, რომლებიც არც სამომავლოდ მოგვაკლდება.



პრონია

არჩილ ჩიქოვანმა მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრა გამართა, რომელზეც მათთვის აქტუალური საკითხები და პრობლემების გადაჭრის გზები განიხილეს. ინფორმაციას მერიის პრესსამსახური ავრცელებს. ინფრასტრუქტურული, სოციალური, ზინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამები - ეს ის საკითხებია, რომლებიც მოსახლეობა დაინტერესებულია. აქტიუტეტურა და ავარიულ სახლებთან დაკავშირებით გაცა სხვადასხვა სახის რეკომენდაცია. შეხვედრაზე მოქალაქეები ქალაქში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებსაც გაცენენ. ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, მოსახლეობასთან შეხვედრები აქტიურად გაგრძელდება და შესაბამისი სამსახურები მოსახლეობის გამოწვევებზე დროულ რეაგირებას მოახდენენ.

უნგრეთის რესპუბლიკაში, ბათუმთან დამეგობრებულ ქალაქ კესტეიში „აჭარის ღვინო“ და ქალაქ კესტეისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა, რომელშიც ბათუმის კულტურის ცენტრის ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმი“ და აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „არსიანი“ მონაწილეობდნენ. ქალაქის მთავარ მოედანზე მოეწყო ენოგრაფიული კუთხე, ქართული ღვინის დეგუსტა-

ცია და მასტერკლასები. ღონისძიებას ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში თამარ ლილუაშვილი და სხვები ესწრებოდნენ. ინფორმაციას ბათუმის მერიის პრესსამსახური ავრცელებს.

აეროპორტის გზატკეცილის №82-ში 200 ადამიანზე მეტი დაზარალებული ორსართულიანი ადაპტირებული საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ ეტაპზე დასრულდა საძირკვლის ამოყვანა და ზორცივლება გრუნტის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ეზო, სადაც განთავსდება ატრაქციონები და საპარკო სკამები, დაიგება მწვანე საფარი და დამონტაჟდება განათების სისტემა. საბავშვო ბაღის მშენებლობა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერია. მშენებლობისთვის 4 მილიონ 555 ათასი ლარია გათვალისწინებული, სამუშაოები მიმდინარეობს წლის ბოლოს დასრულებული. პროექტის ფარგლებში, საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ბაღის მიმდებარე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება იგეგმება. ამ ეტაპზე, ბათუმში 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა და 1-ის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, წლის ბოლომდე კი კიდევ 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს ელვაურის უბანში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების (სიონი) სახელობის ტაძარი შენდება. მშენებლობის დაწყებამდე, საქართველოს საპატრიარქოს შესაბამისი სამსახურების ძალისხმევით, პროექტმა გაიარა ის საინჟინერო-გეოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც ასეთი კონსტრუქციის მშენებლობისთვისაა სავალდებულო. გაცემულია ნებართვა მშენებლობასა და მიწის ნაკვეთის გადაცემაზე. ელვაურის ამ ტერიტორიაზე ადრე ზამღეთის კოლმეურნეობის ავარიული ადმინისტრაციული შენობა იყო. ნარჩენების გატანისა და ადგილის მოწესრიგების შემდეგ, სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

აჭარაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები: „თავისუფალი ჟურნალისტთა სახლი“, „მხარდაჭერის და შესაძლებლობის განვითარების ცენტრი“, „დემოკრატიის ინსტიტუტი“, „ჩვენი თაობა“, „საორსა“, „უმშე ქალთა ალიანსი“, „ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“, „სოლიდარობის თემი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტი-

ტუტის ბათუმის ფილიალი“, „მწვანე სექტორი“, „ფლორა და ფაუნა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის „ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“, „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ ე.წ. რუსული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში ჩართული პირებისა და მათი ოჯახების მიმართ ბოლოდროინდელ მუქარისშემცველ ფაქტებს ეხმაურებიან და ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ. ამიგვანია, რომ განხორციელებული სატელეფონო ზარები და საცხოვრებელ სახლებთან გაკეთებული ვანდალიზმისა და მუქარის შინაარსის მქონე წარწერები ქმნის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით საქმის კვალიფიკაციის დაფუძვლას, კერძოდ, აშკარა სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა; ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის გამო ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით; ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ასევე, აშკარა სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტები. შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს/აჭარის პროკურატურას: სათანადო კვალიფიკაციით დაიწყო



საკრებულოს სხდომა - ხმაურის ფონზე

თამარ ლამბარაძე 595 85 80 06

31 მაისს ბათუმის საკრებულოს სხდომა ხმაურით დაიწყო. ხმაური მოჰყვა „ლელოს“ წევრ ვაჟა დარჩიას კომენტარს, რომელმაც ხაზგასმით თქვა, რომ ახლა ქვეყანაში ძალიან რთული პოლიტიკური სიტუაციაა. მან ამაში იგულისხმა ე.წ. დარეკვები, რომელიც „გამჭვირვალობის კანონის“ მოწინააღმდეგეების მიმართ მუქარისა და შეურაცხყოფელ ზარებს გულისხმობს. დარჩიამ სხდომაზე აღნიშნა, რომ მმართველი გუნდის დავალებით ურეკავენ იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ოპოზიციურად განწყობილები და ემუქრებიან. ოპოზიცია სხდომაზე ამ ფაქტების გამოძიებას ითხოვდა. ვაჟა დარჩიასთან ერთად პარტია „ახალიდან“ ბაჩი მექვანიშვილიც გამოეხმაურა ამ საკითხს და „ქართული ოცნების“ წევრ რიჩარდ სირაბიძესთან მოუხდა დაპირისპირება.

„ჩვენ ვხსნიდით, თუ რა ხდება დღეს ქვეყანაში. ხდება ის, რომ „ქართული ოცნება“ გადმოვიდა შეტევაზე ძალიან ცუდი ფორმებით, რაც გამოიხატება გინებით. გუშინ ვნახეთ, რომ პარტიული ოფისების, არასამთავრობო ორგანიზაციების კედლებზე დაგვიწერეს შეურაცხყოფელი სიტყვები. სახლში აკითხავენ უკვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ჩვენ. ყოველდღიურად ირეკება ჩვენს მშობლებთან, ბავშვებთან, მათ შორის მცირეწლოვანებთან და ავინებენ. ეს ხომ მარაზია, ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ“, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მექვანიშვილი.

სხდომაზე არ იმყოფებოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

განცხადება გააკეთა პარტია „ახალის“ წევრმა ნოდარ დუმბაძემ. მან თქვა, რომ მის 8 წლის შვილს ურეკავენ და ემუქრებიან.

ნიშნა, რომ აღნიშნული ზარების შესახებ, რომლებიც არის სხვადასხვა ქვეყნიდან (საზღვრისგარეთიდან, უკრაინიდან, მექსიკიდან), უკვე



საპასუხოდ, რეპლიკის სახით, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ამ ყველაფერს ის ადამიანები აკეთებენ, რომლებსაც სურთ დესტრუქციული სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

უჩეტი 66 მილიონ 753 ათასი ლარით გაიზარდა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება ახალი პროექტები, ასევე, გაიზარდება არსებული პროგრამების ბიუჯეტი.

ბათუმის მერმა ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ბიუჯეტით განხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები წყალმომარაგების კუთხით.

არჩილ ჩიქოვანიმა სხდომის შემდეგ მედიასთან გააკეთა კომენტარი ზემოთ აღნიშნულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით და თქვა, რომ გასაკვირი ოპოზიციის წარმომადგენლების ქცევაში არაფერია. „მათი დღის წესრიგი ტრადიციულად არის დესტრუქტული. მათი მთავარი თემაა, გადაფარონ მოვლენები, რაც საკრებულოში ხდება და ბუნებრივია, არ ვაპირებთ ავყვეთ მათ ამ ნარატივში. ჩვენ 24 საათის განმავლობაში განვაგრძობთ ჩვენი თანაქალაქელების და ამომრჩევლების მთავარ დაკვეთას, ვემსახურეთ ქალაქს, განვახორციელოთ ინფრასტრუქტურა, ბათუმი გახდეს უფრო უსაფრთხო და მიმზიდველი“, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანი.

გარდა 2024 წლის ბიუჯეტისა, საკრებულოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა 14 საკითხი. მათგან შეიძლება გამოვყოთ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ანდრია პირველწოდებულის I ჩინში, 16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე. ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებაში, განაშენიანების დეტალური გეგმა დამტკიცდა თამარ მეფის გამზირი №1-სა და თამარ მეფის გამზირი №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დამტკიცდა ბაღის ქ. №10-ში, №10-სა და №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე. დამტკიცდა განკარგულება პეტრე მელიქიშვილის ქ. №2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ენათმეცნიერ ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბათუმის მერს თანხმობა მიეცა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (გონიო-კვარიათსა და მახინჯაურში) არსებული უძრავი ქონების (პლასტის მონაკვეთების) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით.



გადაცემულია ინფორმაცია პროკურატურაში და გამოძიება მიმდინარეობს.

დღეს სხდომაზე მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს და დამტკიცეს, თუმცა მას ოპოზიცია არ დასწრებია.

დამტკიცდა ბათუმის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, რომლის თანახმად, ბიუჯეტი 68 მილიონი ლარით გაიზარდა და 450 მილიონი ლარი შეადგინა. გაზრდილი ბიუჯეტი, ძირითადად, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით გადაწეულია. სხდომის ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ესწრებოდა. როგორც ქალაქის მერმა აღნიშნა, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიონ 200 ათას ლარამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ დამატებით, დაახლოებით, 3 000 ბენეფიციარი ისარგებლებს განახლებული და ახალი პროგრამებით და პრაქტიკულად, ყველა საჭიროების მქონე ჯგუფი დაკმაყოფილებული იქნება.

1 მილიონ 600 ათასი ლარით გაიზარდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებიც.

ინფრასტრუქტურული პროექტების ბი-



ბი. მათ ბოიკოტი გამოაცხადეს იმ დრომდე, სანამ „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი არ იქნება გაწვეული.

ზურაბ ნაკაძემ ოპოზიციონერებს, მათ ვისაც დაემუქრნენ, მოუწოდა, რომ ეს ინფორმაცია გადასცენ შესაბამის ორგანოებს და აუცილებლად მოხდება რეაგირება. მან ასევე აღ-

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომელთა მიერ დანაშაულის ჩადენაც შესაძლებელია არაერთი მტკიცებულებით დადასტურდეს; უმოკლეს ვადებში მიანიჭოს პირებს დაზარალებულის სტატუსი; საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების დაწყების, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და გამოძიების შედეგების შესახებ“ - ნათქვამია განცხადებაში.

უცხოელი შურნალისტებისა და ინფლუენსერების აჭარაში მოგზაურობა გრძელდება. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, ამჟერად რეგიონის მედიის წარმომადგენლები სომხეთიდან, ლიეტუვიდან, ესტონეთიდან, უზბეკეთიდან და არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან სტუმრობდნენ. ინფლუენსერები ძველ ბათუმს, ბულგარს და ქალაქის ძირითად ტური-

სტულ ღირსშესანიშნაობებს გაეცნენ. მონინახულეს გონიოსა და პეტრას ციხეები, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ქედის ძირითადი ტურისტული ობიექტები და მტირალას ეროვნული პარკი. „აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, აქტიურად აგრძელებს მედიატურების ორგანიზებას როგორც ევროპული, ისე აზიური ქვეყნიდან. პარალელურად, გრძელდება აჭარის შესახებ სტატიების, სიუჟეტებისა და სამოგზაურო კონტენტის გამოქვეყნება სამიზნე ქვეყნების მედიაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში. მედიატურები განსაკუთრებით გააქტიურდა მასში, რომლის განმავლობაშიც რეგიონს 10-ზე მეტი ქვეყნის შურნალისტი და ბლოგერი სტუმრობდა“, - აცხადებენ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში.

ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს 3 ივლისს, ქართული ენისა და ლიტერატურის

ლური მასწავლებლის გამოცდაზე 18 900-ზე მეტი მსურველი დაარეგისტრირდა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს. პანამის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურა. ფოთის სასამართლომ გემი სამართალდამრღვევად ცნო და 65 000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. პანამის დროშის ქვეშ მცურავ გემს საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჭარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცა.



„ვინც ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას ემხრობა, ყველასთან წარმოვინდობინა თანამშრომლობა“

ლუაზა ხომეიკი 593 50 82 69

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური მუხტი სულ უფრო მატულობს, მმართველი პარტია და ოპოზიცია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუბირისპირდნენ ერთმანეთს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოსახლეობად, რასაც ერთგვარ ურთიერთშეურაცხყოფა, ურთიერთბრალდებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ეს ქართული პოლიტიკის თანმიმდევრული ტენდენციაა, რამაც საქართველო მრავალმხრივ დააზარალა როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის, ისე სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით. კანონმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კიდევ უფრო დააპირისპირა მხარეები



რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში, რა გამოწვევების წინაშე არიან მმართველი პარტია და ოპოზიცია, რამდენად რეალურია მესამე ძალის შექმნა და არის თუ არა ოქტომბრის არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის? - ამ საკითხებზე „ლელო“ - საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი იდეატორი, ბათუმის საკრებულოს წევრი მამა ღარბიას ვესაუბრეთ.

- საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე რას იტყვით?

- ისტორიულ პროცესში ვართ, რომელიც მნიშვნელოვანია მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. რეალურად, მმართველი გუნდი სრულიად შორდება ჩვენს ევროპულ ოჯახს. გადაწყვეტილებების მიმღები პირები (ევროკავშირსა და ნატოში) გვეუბნებიან, რომ რუსული კანონი შეანელებს ამ ოჯახში გაწევრიანების პროცესს, თუმცა პარლამენტმა („ქართული ოცნების“ თაოსნობით) მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და გეტოვებდა. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება არის მკვეთრად რუსული.

აირჩიოს ან ევროპა, ან რუსეთი. ეს რეფერენდუმი უკვე არაფორმალურად არსებობს.

- ევროკავშირმა და აშშ-მა უარყოფითად შეაფასეს ზემოაღნიშნული კანონის მიღება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, სავიზო შეზღუდვები დაუწესოს მმართველი პარტიის წარმომადგენლებს. ეს რას მოასწავებს?

- ვეტოს დაძლევა იყო ბოლო მინიშნება ჩვენი პარტნიორებისთვის, რომ სანქციების პაკეტი შემუშავდება. აღინიშნა, რომ მმართველმა გუნდმა ძირი გამოუთხარა პროცესში?

- პრეზიდენტს, როგორც ვიცო, საარჩევნო ამბიციები ამ მხრივ არ აქვს, თუმცა ჩვენ ყველას ის გვეუბნება საარჩევნო კამპანიის მართონში პროდასავლური ფლანგის ერთ-ერთ მთავარ ლიდერად.

- თქვენი აზრით, როგორი კონფიგურაციით უნდა წარსდგეს ოპოზიცია საარჩევნოდ?

- ოპოზიციური პარტიები საუბრობენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. დღეს მთავარი ამოცანაა, მოხდეს ისეთი ერთობლივი იდეების შეთავაზება

სი“. ვისთან აპირებთ პლატფორმის შექმნას?

- არ გამოვიცხავთ რაიმე პლატფორმაში გაერთიანებას, მაგრამ გვაქვს ნათელი საზომი - ჩვენ „ნაცემოდრობასთან“ ერთად არ ვიქნებით და ამას ძალიან მარტივად, სოციოლოგიურად, შინაარსობრივად ვხსნი. გარდა ამისა, ვინც ჩათვლის საჭიროდ, რომ შეიძლება აქ მოვიდეს, მივესალმებით, მზად ვართ, ვესაუბროთ, გავცვალოთ აზრები, ამის მიხედვით ვიმოქმედებთ, თითქმის ყველა პარტიასთან ვითანამშრომლებთ, თუმცა წითელი ხაზები არსებობს - მმართველ პარტიასთან, „ნაცემოდრობასთან“, გახარიას პარტიასთან ერთობა წარმოუდგენლად მიგვაჩნია, სხვა პარტიებისთვის მოლაპარაკებების კარი ღიაა. მოკლედ, სადაც იქნება იდეოლოგიური სიახლოვე, რა თქმა უნდა, გვეცდებით, რომ ეს ერთობა შედგეს.

ნენტია პროპორციული სისტემა. რა შანსს აძლევს ეს სისტემა ოპოზიციას პარლამენტში მოსახვედრად?

- ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება. ეს ოპოზიციას საგრძნობ კოზირს აძლევს პარლამენტში მოსახვედრად. გამარჯვების ერთ-ერთი გასაღები არის პროპორციული სისტემაში. მმართველი პარტია თუ არჩევნებში 40 პროცენტზე ქვემოთ მიიღებს და, ასევე, რამდენიმე ოპოზიციური ძალა გადალახავს ბარიერს (ან ერთობით ან ცალ-ცალკე), ეს იქნება გამარჯვების გამოხატულება. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ოპოზიციურმა პარტიამ გადალახოს ხუთპროცენტის ბარიერი, რაც მთავარია, უნდა შევძლოთ ემიგრანტების ამ პროცესში ჩართვა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ემიგრანტები, რეალურად, ხელისუფლებაზე არიან განაწილებული. მმართველი პარტია ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ხალხი არ მოვიდეს არჩევნებზე, უნდა შევძლოთ, რომ ჩვენს პარტიისთვის ეს საკითხი მოვაგვაროთ.

რეფერენდუმის თემა ფორმალური ნაწილია, ანუ მის ჩატარებასთან დაკავშირებით ლეგიტიმაცია არსებობს. გვულისხმობს იმას, რომ რეფერენდუმის ჩატარებას პრემიერ-მინისტრის თანხმობა სჭირდება. ესაა სამართლებრივი საკითხები... 2024 წლის არჩევნები ნამდვილად იქნება რეფერენდუმი, ამ ქვეყანას რეალურად აღარ აქვს ისეთი არჩევანი, რომ მოსახლეობამ პარტიული დღის წესრიგი აირჩიოს. ჩვენმა ქვეყანამ 2024 წელს უნდა აირჩიოს ან ევროპა, ან რუსეთი

მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ კანონი ევროპულია, ოპოზიციის წინაშე უნდა იყოს უსაფუძვლო...

- ერთი პარტიისთვის, გადაწყვეტილების მიმღები პირი დასახელოვანი, რომელიც საჯაროდ არის ამ კანონის მომხრე. ჩვენ ვასახელებთ ორას საერთაშორისო აქტივისტს, აღარ ვსაუბრობთ საერთაშორისო დასკვნებზე. მაგალითად, ვენეციის კომისიამ პირდაპირ მოუწოდა ხელი უსვლდებოდა, გააუქმოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ“ კანონი. საერთაშორისო ინსტიტუტებს არ აღიარებენ და დუგინს და პესკოვს რაც მოსწონთ, იმ დოკუმენტებს იღებენ. ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ მკვეთრად ჩამოშორდა ქართველი ხალხის ნებას და გადავიდა კრემლის მხარეზე, რასაც, სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც არაორაზროვნად აღიარებს.

- საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის მხრიდან ვეტოს დაძლევის შემდეგ განაცხადა, რომ მმართველი პარტია ანტიდასავლური ძალაა და, ამავდროულად, არ გამოირჩევა ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარება.

- რეფერენდუმის თემა ფორმალური ნაწილია, ანუ მის ჩატარებასთან დაკავშირებით ლეგიტიმაცია არსებობს. გვულისხმობს იმას, რომ რეფერენდუმის ჩატარებას პრემიერ-მინისტრის თანხმობა სჭირდება. ესაა სამართლებრივი საკითხები... 2024 წლის არჩევნები ნამდვილად იქნება რეფერენდუმი, ამ ქვეყანას რეალურად აღარ აქვს ისეთი არჩევანი, რომ მოსახლეობამ პარტიული დღის წესრიგი აირჩიოს. ჩვენმა ქვეყანამ 2024 წელს უნდა

დემოკრატიულ სტანდარტებს და ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიჰყავს.

- ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა წარმოადგინა გეგმა, „ქართული ქართია“, რომლის შესრულებაც, მისი თქმით, საქართველოს დემოკრატიისთვისაა აუცილებელი და რომელიმაც უნდა შექმნას ახალი პოლიტიკური რეალობა.

- პრეზიდენტი ბოლო პერიოდში ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიმაც შეიძლება კონსოლიდაციას შეუწყოს ხელი ოპოზიციურ გუნდს. ჩვენ განაცხადებდით ნაბიჯები უნდა გადაიდგას, საუბარია ოპოზიციური პარტიების მხრიდან (არჩევნების შემდეგ) სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატურა წარდგინებაზე, ჩვენ ამ სახით ვიღებთ ვალდებულებას, რომ კონსოლიდაცია ამ მიმართებით დააბრუნებს საქართველოს ევროპულ გზაზე. ვინც ამას ხელს მოაწერს, პასუხისმგებლობას იღებს, რომ არ გადაუხვევს ევროპულ გზას, რომელიც პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, რაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს ხედვებს. ჩვენ პირველად ვიყავით, ვინც შეუერთდა ამ ქარტიას.

- როგორც ვიცით, პარტია „საქართველოსთვის“ და იაგო ხვიციას „გირჩი“ არ შეუერთდნენ ამ ქარტიას.

- დიახ, ზემოაღნიშნული პარტიები არ შეუერთდნენ პრეზიდენტის ინიციატივას. ეს არ გულისხმობს საარჩევნო ერთობას და ა. შ. ეს არის იდეებზე, ევროკავშირში გაწევრიანებასა და იმ 9 პუნქტთან თანამშრომლობაზე ერთობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისთვის.

- თავად საქართველოს პრეზიდენტის როლს როგორ ხედავთ ამ

საზოგადოებისთვის, რომელიც არ გამოიწვევს ხმების დაკარგვას, ანუ პარტიებმა ტექნიკურად უნდა შეძლონ ისეთი სიბრტყის ფორმირება, რომელიც აპრიორად გადალახავს ხუთპროცენტის ბარიერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტია, რომელიც ვერ გადალახავს საარჩევნო ბარიერს, „ქართული ოცნების“ წინაშე უნდა იქნას წყალს, ამიტომ ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა შეძლონ ისეთი ერთობის შეთავაზება საზოგადოებისთვის, რომ საარჩევნო ბარიერი გადალახული იყოს, ეს არის ერთგვარი გამოწვევა ოპოზიციური პარტიებისთვის.

- თქვენი პარტია ისევ ალაპარაკდა მესამე ცენტრის შექმნაზე...

- ჩვენ წარმოგვიდგინა, რომ ორპოლუსიანი არჩევნების შეთავაზება ჩვენი მოსახლეობისთვის არის დამუშავებული მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე: „ნაცემოდრობა“ უარყოფითი რეიტინგებში არის ყველაზე წინ მყოფი პარტია, ამიტომ ჩვენ ვთავაზობთ მოსახლეობას „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მიღმა შექმნას მესამე ცენტრი, მესამე პოლუსი, სადაც შევთანხმდებით იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც დღეს დგას დღის წესრიგში, ეს არის მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ჩრდილოეთი კაბინეტის დასახელება და სხვა. უნდა შევთანხმდეთ სხვადასხვა საკითხზე და ამ ფორმით წარვსდგეთ არჩევნებზე მოსახლეობის წინაშე, თუმცა აქ არის ტექნიკური საკითხები, ბლოკები აკრძალულია ამ შემთხვევაში და ეს საკითხი მოსავარაუდელია.

- რამდენი ცენტრი ჩამოყალიბდა: აქვთ - „ნაცემოდრობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახით, იქვით - „ახალისა“ და „ლელო-

ამომრჩეველმა უნდა დაინახოს, რომ ორი პოლუსის მიღმა (მმართველი პარტია და „ნაცემოდრობა“) არსებობს მესამე ცენტრი. ჩვენ ვთავაზობთ ამ ფორმით წარვსდგეთ მოსახლეობის წინაშე არჩევნებზე, ამ მიმართულებით ვიმოქმედებთ, ავუსხნით მოსახლეობას, მათ შორის, დღევანდელი მიხედვით, რას ვთავაზობთ ათ, ორას დღეში, ჩვენი გუნდი პარლამენტში რას აპირებს და კოალიციური მთავრობის პირობებში რის გაყვებას გვგვამს, ამის თაობაზე ვაპირებთ, მოსახლეობას ვესაუბროთ. სხვათა შორის, „ლელო“ - საქართველოსთვის“ ინდივიდუალურად საკმაოდ გაძლიერდა და ამას ყველა კვლევა ადასტურებს, მათ შორის „ედისონის“ კვლევითაც, ჩვენ დაახლოებით 7 პროცენტი გვაქვს და, ყველა კვლევით, საარჩევნო ბარიერს გადავლახავთ. მთავარი ამოცანაა ჩვენთვის მოსახლეობის აქტივობა არჩევნებზე, საარჩევნოდ გაზრდილი ამომრჩეველი ნიშნავს, რომ მმართველი პარტია არჩევნებში დამარცხდება.

- სხვათა შორის, „გორბის“ სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, მმართველი პარტია არჩევნებში 60 პროცენტს მიიღებს. რას ფიქრობთ?

- „გორბი“ რომ ზღაპრებს თხზავს, არახალი ამბავია, ეს ყოველმხრივ დასტურდება. მაგალითად, მათი პროგნოზი, სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში პირველ ტურშივე უნდა მოეგო, მაგრამ ვიცით, რა შედეგად დადგება. ანალიტიკური განმეორდა კახი კალაძის შემთხვევაშიც: ყველა კვლევა, რომელსაც „გორბი“ ატარებს, არის აცდენილი რეალობას.

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელოვანი კომპო-

ემხრობა, ყველასთან წარმოგვიდგინა თანამშრომლობა.

- პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ აჯობებს, მომავალი პარლამენტი ერთწლიანი იყოს.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ „ქართული“ ეს შეხედულება იყო დაფიქსირებული. ამას, ცხადია, სჭირდება კარგი განხილვები, რადგან ერთი წლის შემდეგ ქვეყანაში თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება და ორი არჩევნების ერთდროულად ჩატარება ტექნიკურად რამდენად იქნება შესაძლებელი, ეს კიდევ სხვა საკითხია.

- დაბოლოს, მომავალი არჩევნები გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მხრივ როგორ სურათს ქმნის?

- ამ მნიშვნელობის არჩევნები ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა, ეს ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცხადებულმა რეფერენდუმის ინიციატივით არის გეოპოლიტიკური და ისტორიული მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. მაქვს განცდა, რომ თუ 2024 წელს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩება, ასმაგად მოიმტკნება რეპრესიების ტალღა. ამის წინაპირობა მმართველმა გუნდმა უკვე მოამზადა, დავემსახვებოთ, მართლა, ბელარუსს. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ ეს ყველაფერი გააზროს და მხარი დაუჭიროს იმ პარტიებს, რომლებთანაც საგარეო კურსზე არ უნდადებოთ კითხვები, კერძოდ, მომხრენი არიან, რომ შესრულდეს ცხრა პუნქტი, რომელიც იქნება წინაპირობა, საქართველო გახდეს ევროკავშირის და ნატოს წევრი.



„სელიმოზა“ – ეროვნული გმირის ღვაწლის დაფასება

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

მრავალმა პიროვნებამ, მამულიშვილური ღვაწლისა და თავდადების ფასად, საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. მათ რიგებშია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამორჩეული ფიგურა სელიმ ხიმშიაშვილი. სამწუხაროდ, დღემდე უცნობია, სადაა დამარხული მისი მოკვდილი თავი. რომ არა მეუღლის დაქინებული მოთხოვნა და მედროზე უშარიძეების დიდი თავგანწირვა, თავმოკვეთილ სხეულსაც ვერ მიუჩენდნენ ნიგაზეულში სამყოფელს

სელიმის სამუდამო განსახლება კეთილმოწყობა და მისი ანდერძის სასაფლაოს ქვაზე ამოკვეთა ცნობილია მეცენატმა, საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ კომახიძემ ითავა. სწორედ სელიმის სასაფლაოდან დაიწყო რამდენიმე წლის წინ სახალხო დღესასწაულ „სელიმოზის“ აღნიშვნა. ასე იყო წელსაც. საფლავის გვირგვინითა და ყვავილებით შემკობის შემდეგ, ეროვნული გმირის ფასდაუდებელი ღვაწლი გაისხენეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, ნიგაზეულელთა მასობრივმა დეპუტატმა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გიორგი კეკელიძემ, ხიმშიაშვილების გვარის წარმომადგენლებმა.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ბედი სელიმის შვილიშვილმა შერიფმა სხალთაში არსებულ სასახლეში გადაწყვიტა. დღეს ეს სასახლე მუზეუმადაა გადაკეთებული. მისი დირექტორი იზოლდა სურმანიძე ყოველ „სელიმოზაზე“ მონაწილეებს აქ არსებული ექსპონატების მოწვევითა და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ხიმშიაშვილების გვარის ორი გამორჩეული ფიგურის - სელიმისა და შერიფის დამსახურებაზე ესაუბრება. ტრადიცია არც წელს დარღვეულა.


დივართ და ეროვნული გმირის სულისთვის სანთლებს ვანთებთ. მისი დიდი დამსახურებაცაა, რომ ამ სალოცავმა ჩვენამდე მოაღწია, - აღნიშნა იზოლდა სურმანიძემ, - ვინც ხიხანის ციხე პირველად ნახა, აღტაცებას ვერ ფარავდა. სწორედ ხიხანის ციხე იყო ის ციტირებული, სადაც ოსმალო დამპყრობლებმა ამბოხებული სელიმი შეიპყრეს და სოფელ ბაკოს ტერიტორიაზე, სერიფის უბანში თავი მოჰკვეთეს. ამ ტერიტორიაზე ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის კეთილი ნებით მონუმენტი გაკეთდა და ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტად იქცა. ხულოს, შუახევის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა, დღესასწაულის მონაწილეებმა მონუმენტი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.

- უფალმა ნათელი დაუმკვიდროს ჩვენს ეროვნულ გმირს. საქართველო გმირებისა და მართლმადიდებლობისთვის წამებული წმინდანების ქვეყანაა. ამ ისტორიულ და უმშვენიერეს კუთხეს - აჭარის სელიმის სახით მამულისათვის თავდადებული გმირი ჰყავდა. მის საქმეებს დაეწევა არ უწერია, - თქვა სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა.

მალე „სელიმოზის“ წამოწყებიდან 20 წელი შესრულდება. ამ სახალხო დღესასწაულს რიგრიგობით მასპინძლობენ ბაკოელები და ნიგაზეულელები. ბაკოში ზემი, ტრადიციულად, სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის

„მასხენდება 1989 წლის 29 მაისი, როცა სხალთაში უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩამობრძანდა და სტიქიის შედეგად დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. იმ დღიდან გაიღო ამ ტაძრის კარები. ყოველ „სელიმოზაზე“ აქ მოვლივართ და ეროვნული გმირის სულისთვის სანთლებს ვანთებთ. მისი დიდი დამსახურებაცაა, რომ ამ სალოცავმა ჩვენამდე მოაღწია

საჯარო სკოლის სტადიონზე იმართება. შეკრებოებს მიესალმა და „სელიმოზა“ მიულოცა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ



ულოცა და ვახტანგ ბერიძეს გურამის მიერ შესრულებული ნახატი „სელიმო“ უსახსლო „სელიმოზა“ გაალამაზეს ხულოს კულტურის ცენტრთან, ხიხანის, სხალთის სა-



- აქ მოსვლა მოსწავლეობის წლებიდან მიხაროდა. ხიმშიაშვილების რეზიდენცია, სხალთის საუკუნოვანი ტაძარი, სხვა ძეგლები ერთხელ კიდევ გვახსენებს იმ ისტორიას, რომელიც სელიმისა და შერიფის სადარმა გმირებმა ჩვენამდე მოიტანეს. დიდება და უკვდავება მათ საქმეებს, - თქვა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ხულოს მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ზაზა შავაძემ.

ისტორიული წყაროებით, სელიმი მალეული ქრისტიანი იყო, ხოლო შერიფი მართლმადიდებლობას რუსეთის იმპერატორის კარზე ეხიარა. სხალთის ტაძარი, მრავალთა მსგავსად, მათი საფიცარიც იყო. „სელიმოზის“ წლებიდან მონაწილეობა სხალთის ტაძარში სანთლები დაანთეს და ეროვნული გმირის სულს პატივი მიაგეს.

- მასხენდება 1989 წლის 29 მაისი, როცა სხალთაში უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩამობრძანდა და სტიქიის შედეგად დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. იმ დღიდან გაიღო ამ ტაძრის კარები. ყოველ „სელიმოზაზე“ აქ მოვ-

ბერიძემ. ტრიბუნაზე, რომელსაც ამშვენებს სელიმის ანდერძი: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავეტოვებ“, ერთმანეთს ცვლიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მასობრივი დეპუტატი ფრიდონ ფუტყარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მეუფე სპირიდონი, საქართველოს მუფთის მოადგილე რევაზ მიქელაძე, ბაკოსა და ნიგაზეულის საჯარო სკოლების დირექტორები ხარიტონ დუმბაძე და შაქრო ხიმშიაშვილი. პოეტებმა ნანა შანიძემ და გულიკო გაბაიძემ - საკუთარი, ხოლო ბაკოს, სხალთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა სელიმისადმი მიძღვნილი სხვადასხვა პოეტის ლექსები წაიკითხეს. გულიკო გაბაიძემ, აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტყარაძის სახელით, დამსწრეთ „სელიმოზა“ მი-

იღე იყო. მას შეკრებილებმა დაბადების დღე საჯაროდ მიულოცეს.

ვრა. 3 ივნისი პოეტ ცისანა ანთაძის დაბადების დღეა. ქალბატონი ცისანა ზემის მონაწი-

სოფლო კულტურის სახლებთან, ვერნების სასოფლო კლუბთან, ხიხანის საჯარო სკოლასთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

- ამ ხეობის მკვიდრი ვარ, „სელიმოზას“ ვულოცავ თითოეულ მონაწილეს, სხალთა-ხიხანის ხეობის მკვიდრებს, რომლებიც ევრას არ აციებენ, სიცოცხლესა და სხალისეს მატებენ ამ ისტორიულ ტერიტორიებს. აკაკი წერეთელი ამბობდა: „უბედურია ის ერი, ვისაც შეგნებული და შესწავლილი წარსული არ გააჩნია და ველურად ცხოვრობს. კიდევ უფრო უბედურია, ვისაც გააჩნია და ვერ შეინარჩუნა“. ამ გადმოსახედიდან შემძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ერის შვილები ვართ, წარსულსაც ვინარჩუნებთ და ღირსეული მამულიშვილებიც გვყავდა და გვყავს. ამ წარსულის გახსენება, სამწუხაროდ გამოტანა იყო წლებიდან „სელიმოზა“, - თქვა დავით გაბაიძემ.

ბაკოში გამართული ზემის შემდეგ მონაწილენი სოფელ მთისუბანში მივიდნენ. აქ, ულამაზეს ტერიტორიაზე, დედის - დუდიხანუმ ბეჟანიძე-ხიმშიაშვილის გვერდით განისვენებს შერიფ ხიმშიაშვილი. ზემის მონაწილეებმა მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა და მღვდელმსახურებმა კალოთაში ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები დათავალიერეს და პარაკლისი გადაიხადეს.



„მე მჭრით თავს...“ პოეტიკური თეატრი

დახვრებიდან 87 წლის უმცროსი ქალი ერთი ნაშთი იდენტიფიცირებული

მატიანე ხოთაძის ფოტო 27 48 93

87 წლის უმცროსი ქალი იდენტიფიცირებულია „აღმოსავლეთის ანთროპოლოგიის ასოციაციამ“, „აღმოსავლეთის ანთროპოლოგიის ასოციაციის“ და „აღმოსავლეთის ანთროპოლოგიის ასოციაციის“ წევრების მიერ. აღმოსავლეთის ანთროპოლოგიის ასოციაციის წევრების მიერ აღმოჩენილი იქნა ქალის ნაშთი, რომელიც დაზარალებული იყო მძიმე ტრავმების გამო. აღმოსავლეთის ანთროპოლოგიის ასოციაციის წევრების მიერ აღმოჩენილი იქნა ქალის ნაშთი, რომელიც დაზარალებული იყო მძიმე ტრავმების გამო. აღმოსავლეთის ანთროპოლოგიის ასოციაციის წევრების მიერ აღმოჩენილი იქნა ქალის ნაშთი, რომელიც დაზარალებული იყო მძიმე ტრავმების გამო.



მეგობარმა აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბაუს“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ. მათმა დახმარებამ დაიწყო მათი მუშაობა დახმარების მიზნით.

ბის აღების პროცესში დიდი წვლილი შეიტანა ამ პროექტის წარმატებაში. საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია აჭარაში აღმოჩენილ სამარხებთან დაკავშირებით შექმნილი სამთავრობო კომისიის ნებართვით საფუძვლზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ სასამართლო ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში, განაგრძობს რეპერსი-

რებულ პირთა იდენტიფიცირების საკითხებზე მუშაობას, რათა დახმარება გაუწიონ შთამომავლებს დაკარგული ოჯახის წევრების ადგილსამყოფელის აღმოჩენაში და უზრუნველყონ ამ მსხვერპლთა ღირსეული დაკრძალვა. მიმდინარე პროცესი საბჭოთა პერიოდში ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთა ოჯახებისთვის ისტორიული სიმართლისა და სამართლიანობის დადგენისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, - გვითხრა „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის“ პრეზიდენტმა მერი გონაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ 1937-38 წლებში რეპრესირებულითა სამარხები ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში აღმოჩენილი 3 ნეშტი უკვე იდენტიფიცირებულია და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ოჯახებს გადაეცათ.

„საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციას“ და „აჭარის მემორიალს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, „მემორიალი“ კვლავ განაგრძობს 1937-38 წლებში რეპრესირებულთა შთამომავლების ძებნას.

„მემორიალი“ რეპრესირებულითა შთამომავლებს თხოვს, გამოეხმაურონ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარაიძეს ყოველდღე, 18:00 საათიდან, მობილურის ნომერზე 595721416, რათა ორგანიზებულად ჩატარდეს დნ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისგან.

კონსერვაცია

პროფკავშირული ორგანიზაციების ქალისხევი, პედაგოგების ყოფილი პირობები უმჯობესდება

ოთარ გონაძე 599 85 21 14

გაიმართა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახვევის რაიონული ორგანიზაციის მე-12 საანგარიშო კონფერენცია. დღეგრძეობისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარსდგა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარაძე. ანგარიში მოიცავდა 2022 წლის 5 ივნისიდან წლებანდამდე გაწეულ მუშაობას.



კონფერენციაზე სამანდატო და სარევიზიო კომისიების ანგარიშები წარმოადგინეს. კამათში მონაწილეობდნენ შუახვევის, ნიგაზეულის, მახალაკიძეების, ახალდაბის საჯარო სკოლების პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეები: თეიმურაზ დავითაძე, ვასო ხიმშიაშვილი, შოთა ფუტყარაძე, ლამარა ხალვაში, შუახვევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭიძე, პროფკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენელი თემურ მჭედლიძე.

ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდი, რომელიც ორ წელიწადს მოიცავს, საკმაოდ ნაყოფიერი იყო ჩვენი პროფკავშირების ცხოვრებაში. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც იცავს დასაქმებულთა უფლებებს, ზრუნავს მათი შრომითი, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთვის, შუამავალია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის, განათლების ინტერნაციონალის წევრია, რომელიც მსოფლიოს 171 ქვეყნიდან 30 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს. მათი პარტნიორები და დონორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების მასწავლებელთა ფედერაცია, შვედეთის მასწავლებელთა ეროვნული კავშირი, თურქეთის მასწავლებელთა ეროვნული ფედერაცია, ისრაელის მასწავლებელთა პროფესიული კავშირი, დანიის უმაღლესი საფხვრის მასწავლებელთა პროფკავშირი, რომლის ფინანსური მხარდაჭერითა და დახმარებით საქართველოში უკვე ორი წელია, ხორციელდება პროექტი „დანიური სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვა საქართველოში“. მის ფარგლებში წლის, ქალაქ ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „დანიის საუკეთესო პრაქტიკა ქართულ სკოლებში მომავალი წარმატებისათვის“. დანიიდან ჩამოსულმა 8 ექსპერტ-მასწავლებელმა საკუთარი გამოცდილება გააცნო ჩვენი ქვეყნის სკოლების 400-მდე მასწავლებელს.

ვლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში“, რომლის შედეგად დაიშვა გამოჩენილი და უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებმაც საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციები დაადასტურეს.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ისაუბრეს შუახვევის ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე. ამჟამად შუახვევის მუნიციპალიტეტის განათლების სისტემაში სასკოლო, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში დასაქმებული 1157 მუშაკიდან 1038 პროფკავშირის წევრია, მათგან 724 - პედაგოგთა პედაგოგთა განათლების ხარისხობრივი მაჩვენებლები ასეთია: განათლების მეცნიერებათა დოქტორია 2; მაგისტრი - 482; ბაკალავრი - 218; საშუალო სპეციალური ან პროფესიული განათლებით - 12; საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია 3; მენტორი მასწავლებელი - 8; წამყვანი მასწავლებელია 72; უფროსი მასწავლებელი - 393; მოვალეობის შემსრულებელი მასწავლებელი - 219; მაძიებელი მასწავლებელი - 7; ადმინისტრაციის წარმომადგენელი - 191; აღმზრდელი მასწავლებელი - 9; მხატვრული წრის ხელმძღვანელი - 25; ტექნიკური და დამხმარე მუშაკი - 212; სკოლის ექიმი 4; ექთანი - 39.

საანგარიშო პერიოდში შუახვევისა და ხიჭათის სკოლებში ჩატარდა სასერტიფიკაციო გამოცდების მოსამზადებელი სემინარები, რისთვისაც თბილისიდან და ბათუმიდან მოიწვიეს კვალიფიკაციური პედაგოგები. ანალოგიური სემინარები ჩატარდება იმ მასწავლებლებისთვის, ვისაც სურვილი აქვს, ამაღლოს სტატუსი უფროსი მასწავლებლისა და მენტორი მასწავლებლისამდე. მათთვის ადგილზე მოიწვიეს სპეციალისტებს და უფასოდ ჩაუტარებენ საგნობრივ და პროფესიულ სემინარებს. ამისთვის უნდა იყოს მასწავლებელთა მზაობა და სურვილი.

წელს დაბა ქედში ჩატარეს მაძიებელ და უსტატუსო მასწავლებელთა რეგიონალური კონფერენცია „ჩემი ერთი წარმატებული აქტივობა“, რომელშიც შუახვევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების

180 მასწავლებელი მონაწილეობდა და საინტერესო მოხსენებებიც წარმოადგინეს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პრეზიდენტი მაია კობახიძე, ვიცე-პრეზიდენტი მარი ალუღიშვილი და ნათია კორძაძე, ექსპერტი როლანდ ხოჯანაშვილი. მალე კონფერენციის მონაწილე ყველა მოხსენებელს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

პროფკავშირების შუახვევის რაიონული ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად ზრუნავს მასწავლებელთა შრომითი და ყოფითი პირობების გაუმჯობესებისთვის, მათი დასვენების, ჯანმრთელობის რეაბილიტაციისა და თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობისთვის, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელშეწყობით, ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიება. ასევე, ყოველწლიურად საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, პედაგოგებს აჯილდოებენ საპატიო სიგელებით. სკოლებში დამკვიდრეს ღვაწლმოსილ მასწავლებელთა ამაგის სახეობად აღნიშვნა. ამ მხრივ მისასრულებელია ახალდაბის, შუახვევის, ჭვანის, ქალის, ხიჭათურის, ჯბნისძეების, დღვანის, დარჩიძეების, ნიგაზეულის, ცინარეთის, სხვების, ვანის საჯარო სკოლების პროფკავშირების აქტიური საქმიანობა.

უკვე ტრადიციად აქციეს მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენციების ჩატარება, რომელზეც ყოველწლიურად 50-ზე მეტი მასწავლებელი საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს. დაგეგმილია მეექვსე მუნიციპალური კონფერენცია, რომელიც 8 ივნისს ჩატარდება.

პროფკავშირის საყრდენ ძალას წარმოადგენს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები. მათი მუშაობის ხარისხზე, ქმედითუნარიანობაზე, ნდობასა და ავტორიტეტზე ბევრად არის დამოკიდებული რაიონული ორგანიზაციის მუშაობა. შუახვევის მუნიციპალიტეტში განათლების სისტემაში 1253 დასაქმებულიდან 1057 პროფესიული კავშირის წევრია. ისინი მიესალმებიან პროფკავშირების გააქტიურებას, თუმცა უნდა იქნებოდეს გასაყვანილებელი. უნდა გაძლიერდეს სკოლებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებში პროფკავშირების ქმედითუნარიანობა. ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ თავიანთი წევრების შრომითი და სამართლებრივი უფლებების დაცვაში.



ფილმი გასოსხლებული თამარ მეფე

თამარ ლაშაბაძე 595 85 80 06


„საქართველოს ისტორიაში ბირველად ტანტზე აღის ქალი. მას ჩერჩობით არ გამოუვლენია მეფური ხასიათი, არაფერ იცის, შეძლებს კი ის მეფობას?“ - ასე დაიწყო ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „თამარ მეფე“ წარდგენა, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან ლომაშვილმა გადაიღო. რეჟისორი ერთ-ერთი მათგან, ვინც შეეჭიდა ესოდენ საბასუსხისმგებლო თემს - გადაიღო ფილმი ისტორიულ პერსონაჟზე, თანაც ისეთ დიდებულ მეფეზე, როგორც თამარია

პრემიერა „იუთუბზე“ 2024 წლის 14 მაისს გაიმართა. ფილმმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და მაყურებელს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია კარგად უნდა ვიცოდეთ და სიამაყით გვევსებოდეს გული, როდესაც საქართველოს ვახსენებთ. სად არის თამარ მეფის საფლავი? რა არის ამ ლეგენდარული ქართველი მონარქის ძალიან ბევრ წინააღმდეგობაზე გამარჯვების საიდუმლო? რამ შექმნა მისი ლეგენდა? - ამის შესახებ ფილმიდან შეიტყობთ, მანამდე კი **ლევან ლომაშვილი** ფილმის შიდა სამზარეულოში გვამოგზაურებს.

- საიდან და როგორ გაჩნდა ამ ფილმის შექმნის იდეა?

- 2013 წელს თამარ მეფის გარდაცვალებიდან 800 წელი შესრულდა. რამდენიმე თარიღზეა საუბარი, თუმცა ჩვენი კვლევებით ჩავთვალეთ, რომ ყველაზე სანდო 2013 წელია, ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ თარიღით გვესარგებლა თამარ მეფეზე მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად. რამდენიმე მეგობარს დაფუძნებული გვქონდა კინოსტუდია „ხომლი“ და გვინდოდა შემეცნებითი ფილმების გადაღება. ჩავთვალეთ, რომ ბირველი თემა, რომელზეც უნდა გვემუშავა, თამარ მეფის ცხოვრებაა.

- რამდენი ხანი გრძელდებოდა ფილმის გადაღება და რა პროცესები გაიარეთ გადაღების დაწყებამდე?



- 2 წელი, იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსების მოძიება ძალიან რთული იყო, მით უმეტეს, რომ ეპოქალურ ადამიანზე ვიღებდით ფილმს. სცენარზე გურამ მეგრელიშვილმა და ნინო სადღობელაშვილმა იმუშავეს. ჩვენ ერთად შევისწავლეთ ყველა მნიშვნელოვანი ქართული წყარო და არაქართულიც. თუკი სადმე რამე ფრაგმენტი მოიპოვებოდა თამართან და მის ეპოქასთან დაკავშირებით, ყველაფერი წავიკითხეთ და შევეცადეთ, რომ თანამედროვე ეპოქაში ერთგვარი კონვერტირება მოგვეხდინა და ისე მოგვეთხორო, რომ თანამედროვე ადამიანისთვის გასაგები ყოფილიყო.

- ძირითადად სად იღებდით?

- იმ ადგილებში, სადაც თამართან დაკავშირებული ისტორიები გავრცელებული. მხატვრული სცენები იმ ადგილებში გადავიღეთ, რომლებიც მიმსგავსებულია მის ეპოქასთან, მაგალითად: ვაშლოვანში, მცხეთაში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ასე შემდეგ.

- ცხადია, მსგავსი ისტორიული ფილმების გადაღება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული...

- როცა ამ ფილმზე მუშაობა დაიწყო, კარგად გვქონდა გაცნობიერებული, რომ ეს არ არის კომერციული ფილმი, ამ თემას ბიზნესიდეად ვერ ვაქცევდით და მუშაობა ჩვენი ძალეებით მოგვიწევდა. შესაბამისად, ვეძებდით ხერხს, რომელიც შეგვაძლებინებდა ამ

მნიშვნელოვანი ეპოქის შესახებ ისე თხრობას, რომ ფილმს არ დასტყობოდა ფინანსების სიმწირე. მუშაობა, ძირითადად, საკუთარი ძალებით გვიწევდა. ასევე, სირთულეს წარმოადგენდა შინაარსობრივი მასალა. ძალიან დიდი დაკვირვებით მივუდევით ყველაფერს და მაქსიმალურად გავვერცხეთ იმ ინფორმაციაში, რომელიც სინამდვილეს შეესაბამებოდა. ჩვენ მიერ შექმნილი მხატვრული სცენები თამარის ისტორიული ეპოქის შესატყვისია.

- რადგან თამარი წმინდანია, თუ ჰქონდა აზრი საბატარაქოს წარმომადგენლებს ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით?


- ჩვენ თავიდანვე გვქონდა გაცნობიერებული, რომ ვეხებოდით არა მარტო მეფეს, არამედ წმინდანსაც, რომლის მიმართაც ქართველებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, ამიტომ გვქონდა სასულიერო პირებთან კონსულტაციები და მათთან ერთად გავიარეთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ მაქსიმალურად დავიცავით ზღვარი, რათა ეკლესიისთვის არ ყოფილიყო რამე მიუღებელი. სასულიერო პირებისგან ფილმის გამოსვლის შემდეგაც ძალიან დადებითი შეფასებები მივიღეთ, რაც გვახარებს.

- ფილმში თამარის როლის მსახიობი ანა მატუაშვილი ასრულებს. რატომ შეარჩიეთ ის და როგორ იყო მისი ბირველი რეაქცია, როდესაც ეს როლი შესთავაზეთ?

- როგორც კი თამარზე ფილმის გადაღების იდეა გაგვიჩნდა, დავიწყეთ იმ მსახიობის

კინო არის ხელოვნება, რომელიც მაყურებელს წარმოსახვის საშუალებას არ აძლევს, რადგან შენ მას იქ უნდა აჩვენო კონკრეტული პერსონაჟი და დაარწმუნო, რომ ის მართლაც ასეთი იყო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ შეეჭმენით ისეთი თამარი, როგორც თავად წარმოგვედგინა, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ჩვენი წარმოსახვის შედეგი

ძებნა, ვისთვისაც შეიძლებოდა ეს როლი მიემდო. არ მიყვარს ქასთინგის მოწყობა მაშინ, როდესაც როლი ასეთი რთული სათამა-



შოა, მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთ ისტორიულ პირს ეხება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვიცნობდე შემსრულებლის ტიპაჟს და მანერას, ვიცოდეთ, როგორ შეასრულებს დაკისრებულ ამოცანას და ასე შემდეგ. შეიძლება, ქასთინგზე მოსული ადამიანი იმ მომენტში მოგეწონოს, მაგრამ გრძელვადიანად ვერ შეასრულოს, როგორც საჭიროა. ანას მონაწილეობის იდეა თავიდანვე გაჩნდა, რადგან ვიცნობდი მას სპექტაკლებიდან და ტელევიზიიდან, შესაბამისად, ზუსტად ვიცოდი, რომ თუ შედეგებოდა ჩვენი ტანდემი, გამოვიდოდა



ის, რაც შემოქმედებითმა გუნდმა ჩავიფიქრეთ. ანას თავიდან ძალიან გაუკვირდა და ცოტა შეეშინდა კიდევ, რაც ლოგიკურია. ჩვენ დასაწყისშივე გვქონდა გათვითცნობიერებული, რომ ამ ფილმს შესაძლოა, გარკვეული კრიტიკა მოჰყოლოდა, რადგან ყველას ჰყავს თავისი თვალთ „დანახული“ თამარ მეფე, ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს შემსრულებელსაც, თუნდაც ვიზუალურად და ასე შემდეგ. დაახლოებით ერთი კვირა მოგვიწია საუბარი და დეტალების განხილვა, ანა ამ გადაწყვეტილებამდე რომ მისულიყო. მისი მადლიერი ვარ, რომ მენდო. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ, გარდა ვიზუალისა, პერ-

თან გამკლავებას. თამარი, ჰუმანურთან ერთად, გარკვეულწილად მკაცრიც, დისციპლინის მოყვარულიც იქნებოდა, რადგან საქართველოს ისტორიაში ყველაზე მძლავრი სახელმწიფო სწორედ მის დროს შეიქმნა და ბუნებრივია, ასეთ ქვეყნას სუსტი მმართველი ვერ გაუძღვებოდა. ხანდახან შემსრულებლების ვიზუალზე შეკითხვები და შენიშვნები. ფილმის გამოსვლის დღიდან საზოგადოების ნაწილი ამბობდა, რომ თამარს ჰქონდა ოქროსფერი თმები, ცისფერი თვალები და ასე შემდეგ. ჩვენ არსად მოგვეპოვება მისი ვიზუალის კონკრეტული აღწერა. გვაქვს მხოლოდ ხუთი ფრესკა და მათგან

არცერთი ერთმანეთს დიდად არ ჰგავს, შესაბამისად, ის, რომ ჩვენი პერსონაჟი ვიღაცის მიერ წარმოსახულ თამარს არ ჰგავს, სულაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდა, თამარი ასეთი ყოფილიყო. ყველას ჰყავს თავისი თამარი და ჩვენც, ბუნებრივია, გვქონდა იმის უფლება, საკუთარი თვალთ დანახული თამარის პერსონაჟი შეგვექმნა.

- რამდენად მოიპოვა ამ ფილმმა პოპულარობა?

- ჩემი მხრიდან ცოტა უხერხულია ამაზე საუბარი, თუმცა ერთი შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც საზოგადოებამ გაიგო ამ ფილმის გამოსვლის შესახებ, იმ დღიდანვე გაჩნდა ძალიან დიდი ინტერესი. ფილმის შესახებ დაიწერა უამრავი კომენტარი, იყო განხილვაც. ეს ყველაფერი ჩვენთვის ცოტა გასაკვირვებელია, განსაკუთრებით ერთად, რადგან იმას ნიშნავს, რომ მაყურებლის ინტერესი დიდია. ერთი თვის წინ ფილმის „თამარ მეფე“ პრემიერა იუთუბზე შედგა და ყურება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. იქაც კი გვწერდნენ, რამდენი წელი ველოდით და როგორც იქნა, გამოვიდაო, რაც ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა. 9 წელია ვასული ფილმის გამოსვლიდან, ინტერესი და მოლოდინი კი ისევ არსებობს. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ ფილმს უყურა და შეაფასა. ერთი რამ მნიშვნელოვანია - თუკი ისტორიულ ფილმებზე იქნება ინტერესი, ალბათ გაჩნდება ფინანსებიც და უფრო მეტი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღების შესაძლებლობაც.

- თუ გადავხედავთ იუთუბკომენტარებს, საზოგადოება ითხოვს, ისევ გადაიღოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის რომელიმე ვიზუალზე დოკუმენტური ფილმი. აპირებთ?

- საბედნიეროდ, მსგავსი ფილმების მიმართ დიდი ინტერესია. ეს არის ძალიან ძვირი სიამოვნება, რისი შესაძლებლობა, პრაქტიკულად, არ არსებობს. ჩვენ ამ წლებში განმავლობაში მაინც შევქმელით რამდენიმე ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის გადაღება და ახლაც ვმუშაობთ. ფილმების ნაწილის ხილვა მაყურებელს უკვე შეუძლია ჩვენს იუთუბარხზე, ნაწილსაც ეტაპობრივად დავდებთ. ღვთის წყალობით, გვაქვს გრძელვადიანი გეგმა, გავაკეთოთ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტური ფილმი ისტორიულ პერსონაჟებსა და ეპიზოდებზე. თუ მაყურებლის მხრიდან იქნება ინტერესი, ვიპოვებთ ძალას, რომ მსგავსი ფილმები გადავიღოთ.

- ასეთ ფაქტებს კრიტიკა მოჰყვება ხოლმე. რამდენად ხართ ამისთვის მზად?



შორაული ახლოხალი ლავილი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ახლანან მკითხველმა იხილა საინტერესო წიგნი „ნავაგომარიდან ლევილიამდე“, რომლის ავტორი, მწერალი ანტონიო ბელონი, საარქივო, დოკუმენტური წყაროებისა და პირადი მიმოწერების მომარჩევებით, თვალწინ გადაგვიშლის ლევილიელ ემიგრანტთა ცხოვრებას...

წიგნის გმირები ისტორიული პიროვნებები არიან, ცნობილი და აქამდე უცნობი ლევილიელები... ავტორმა მათ ახალი სივრცე შექმნა. ვრცელი დოკუმენტურ-მხატვრული ნაწარმოები ყურადღებას იმყრობს მთავარი პერსონაჟით - იგი ნავაგომარიდან იძულებით გადახვეწილი მათე ბოლქვაძეა, შემდეგში ლევილიელთა ფარსა და მახვილს რომ უწოდებდნენ. რას წარმოადგენს ეს წიგნი, როგორ შეასხა ფრთები ავტორმა თავის მიზანსა და ჩანაფიქრს, ამაზე თავად გვესაუბრება.

- გილოცავთ, თქვენმა წიგნმა წარმატებით დაიწყო მოგზაურობა მკითხველთა სამყაროში. რამ შთაგავონათ, ლევილიელი ქართველების ცხოვრების შესახებ მოგეთხროთ?

- ამ წიგნზე მუშაობას თითქმის სამი წელი მოვანდომე. მასხოვს ის დღე, რომელმაც საწერად განმარტო. 2020 წელი იდგა, სუსხიანი დეკემბერი. ოზურგეთში, გმირთა მოედანზე მუდამ მომღიშარმა და თბილმა ადამიანმა ზურაბ ქარჩხავამ შემაჩერა, ჩამოწვიო, მთხოვა, კაი მასალას მოგცემ, ნოველისთვის გამოვადგებო. ავტო, ლადო ბოლქვაძის ძმამ, ემიგრანტმა მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ტყვეთა ბანაკში, შემთხვევით, ძმისშვილი ნახა, ძალზე საინტერესო ისტორიაა, მოიძიეთ. ლადოს შეგებ-



ყოფილიყო.

- და მაინც, როგორ მოხდა ეს ნავაგომარი კაცი ლევილიში?

- მათე იძულებული გახდა, 30-იანი წლების ბოლშევიკურ რეპრესიებს გაქცეოდა, ჯერ თურქეთში გაიხიზნა, შემდეგ კი ლევილს შეაფარა თავი.

- თავად ბოლქვაძეთა გვარის ეტიმოლოგიაც საინტერესოა, ვის ფესვებზე არიან ამოზრდილი?

-

თავი არ დამიზოგავს და უამრავი დოკუმენტური მასალის მოძიებით და მომარჯვებით შევეცადე, მეოცე საუკუნის ისტორიული პიროვნებების, ერისკაცების: ნოე ყორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილის, ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენკელის, სანდრო ჭყონიას, ვლასა მგელაძის, ვალოდია გოგუაძის, ნიკოლოზ ორაგველიძისა და სხვების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციები მხატვრულად გადმომეცა

დი, რამდენიმე დღეში ვეწვიე სოფელ ნავაგომარის მცხოვრებლებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ თანასოფელელ მათე ბოლქვაძის ისტორია, ხოლო 98 წლის ვანტანგ გოგუაძეს ის ბავშვობიდანვე ახსოვდა. მასზე სხვებიც აღფრთოვანებით საუბრობდნენ. ამან გადაამაწყვეტინა, კვლევა-ძიება გამეგრძელებინა, შემეგრძობინა ყველა მოგონება, ინფორმაცია, წერილი, ფოტოსაბეჭდი. ეს ინტერესი უფრო გაღვივდა, როცა დავაზუსტე, რომ მათე ბოლქვაძე ლევილიელი ემიგრანტი იყო, ათეული წლები ცნობილი ქართველი ლევილიელების გვერდით ცხოვრობდა, ლევილიელებს და პარიზშიც ქართველი ემიგრანტების ნამდვილი ფარი და მახვილი იყო. მათე - უშუალოდ, ფიზიკურად უძლიერესი და გამჭრიახი კაცი - ასე წარმოისახა ის ჩემს თვალსაწიერზე და როცა მის შესახებ ფაქტები და გავიხილე ამბები გავაცნობიერე, გადავწყვიტე, ლევილიელთა ამბების გადმოცემისას მთავარი პერსონაჟი სწორედ მათე ბოლქვაძე

- ძველი თქმულებით, ბოლქვაძეები ის ძმები არიან, რომლებიც ქვას ბოლს ადენდნენო. დიხ, მათე იმ ბოლქვაძეების შთამომავალი იყო, რომლებიც თურქთა მოთხოვნებს არ დაემორჩილნენ, არ შეიცვალეს რჯული და ქობულეთის სოფელ ჩეხედანადან ოზურგეთში წამოვიდნენ. ბოლქვაძეები, და არა მარტო ისინი, ამჟამად 1818-1820 წლების გურიის აჯანყების გმირ იოთამ ბოლქვაძით, ასევე აბესათი, რომელმაც 1841 წელს მონაღისებში შეკრიბა, სათავეში ჩაუდგა აჯანყებულ გურულებს და გოგორეთის ბრძოლაში დაამარცხა რუსის ჯარი.


- მათეს ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების დაკავშირება სხვა ისტორიულ პერსონაჟებთან, ცხადია, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

- ნავაგომარსა და ლიხაურში, ოზურგეთში უამრავ ადამიანთან შეხვედრამ და საუბარმა დამარწმუნა, რომ ქართული სოფელი დიდია,

კარგი მესხიერება აქვს, არაფერს ივიწყებს. ჩემი ცნობიერება თანდათან ფართოვდება და, ნავაგომარელები, ლევილიელები... ძველი ნაცნობებისა და ახლად გაცნობილებისგან უამრავ ინფორმაციას, წერილს, ფოტოსაბეჭდს ვიღებდი, რომლებსაც დროისა და ვითარების შესაბამისად ვალაგებდი. ამ ხნის განმავლობაში, აზროვნებით, ჯერ ნავაგომარში, შემდეგ კი ლევილში გადავინაცვლე, ვცდილობდი, ფაქტები და ამბები გავიხილო, წაკითხულის შესატყვისად გადმომეცა. მოკლედ, თავი არ დამიზოგავს და უამრავი დოკუმენტური მასალის მოძიებით და მომარჯვებით შევეცადე, მეოცე საუკუნის ისტორიული პიროვნებების, ერისკაცების: ნოე ყორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილის, ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენკელის, სანდრო ჭყონიას, ვლასა მგელაძის, ვალოდია გოგუაძის, ნიკოლოზ ორაგველიძისა და სხვების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციები მხატვრულად გადმომეცა და თუ როგორ შევძელი ეს, მკითხველმა შეაფასოს. ისე, წიგნის პერსონაჟები გმირთან - მათესთან ურთიერთობაში იმყოფებიან და ესენი, ძირითადად, გურულები არიან.

- როგორ აფასებთ მკითხველი ამ წიგნს, როგორია რეზონანსი?

- წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია... ოზურგეთის ბიბლიოთეკასა და მეორე საჯარო სკოლაში შეხვედრა გაიმართა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს აინტერესებთ ემიგრანტთა ცხოვრების ამბები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ წიგნში გადმოცემული ისტორიული ამბები საქართველოს, განსაკუთრებით გურიის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ეთნოგრაფიული



და მსტუმრობენ კიდევ. ლავრენტი (ლორან) ჩხაიძე, მისი მომღერალი ქალიშვილი სულიკო (ახლა ველოდები, ერთ თვეში პარიზიდან სულიკოსა და მომღერალთა ჯგუფს) კონცერტებს გამართავენ ბათუმში, ფოლკლორის ცენტრში, ქობულეთში, ოზურგეთში, თბილისში... ორგანიზებას მე ვუკეთებ. ვურთიერთობ ნოე თაყაიშვილის შვილიშვილ მიშელთან (აკაკის შვილი), მსტუმრობდა სახლშიც. ტიერ ბერიშვილთან (ქართველ ხალხთან მეგობრობისა და კულტურის ფრანგული ასოციაციის „გაუმარჯოს საქართველოს“ პრეზიდენტი, ლევილის ქართული აკადემიის დირექტორის მოადგილე) მაქვს ყოველკვირეული კავშირები, პირადი შეხვედრებიც. მაისის ბოლოს უნდა ჩამოსულიყვნენ და პრეზენტაცია შედგებოდა, მაგრამ ლევილის ფესტივალმა გადაგვადებინა შემოდგომამდე, ლავრენტი კი 5 დღეში ჩამოვა - სახლი აქ ააშენა, მამისეულ კერაზე, შუხუთში. მიზანი ერთია - ემიგრანტებმა დედასამშობლო არ დაკარგონ.

- ვინ არიან ადამიანები, რომლებიც დაგეხმარნენ წარსულის გაცოცხლებაში?

- რომ არა საყოველთაო ინტერესი და თანადგომა კეთილი ადამიანებისგან, ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა. ჩემს განკარგულებაში იყო და გამოვიყენე საოჯახო არქივები (კაკო ბოლქვაძე, მანანა ჭყონია, ცისანა ჩხაიძე, ვაი მამალაძე, ლავრენტი (ლორენ) ჩხაიძე, ტოგო ბოლქვაძე, გოგია ჩხაიძე, რეზო ბოლქვაძე, ნუგზარ ასათიანი). პერსონაჟთა სახეების გამოკვეთაში დიდად დამეხმარა ვანტანგ გოგუაძის, გიგლა კობლაგას, ბადრი და ვაი ბოლქვაძეების, გოჩა გოგუაძის, თემურ თავართქილაძის, რუსუდანი ბერიშვილის, გელა მდინარაძის, თემურ გოგუაძის, სულიკო ჩხაიძის, ანზორ ბერიშვილის, მანანა ჭყონიას და კიდევ მრავალი ადამიანის მონათხრობი. მადლიერება მინდა გამოვხატო წიგნის რედაქტორ თემურ მარშანიშვილის მიმართ, მკითხველს კი მინდა ვუთხრა: არც ისე შორსაა ნავაგომარიდან ლევილამდე, მით უფრო ახლა, როცა საქართველო ევროპულ კურსს ირჩევს.

ფილმში გასოსხლავალი თამარ მეფე

იხ. მე-7 გვ.

- მზად ვართ, რადგან კრიტიკა ჩვეულებრივი მოვლენაა. რაღაც თემაზე მუშაობას რომ ვიწყებ, გაცნობიერებული მაქვს, რა შეიძლება მოჰყვეს. ყველას ერთნაირი აზრი ვერ ექნება. მიხარია კიდევ ჩანსალი კრიტიკა, რომელიც ეხება კონკრეტული პრობლემის გამოსწორებას, დაგაფიქრებს და მიგახვედრებს, რა არის არასწორად გაკეთებული, თუ მცა არსებობს აბსოლუტურად გაუაზრებელი შეფასებები. თუნდაც თამართან დაკავშირებით მომსმენია ბევრი ღიმილისმომგვრელი შენიშვნაც, მაგრამ მაინც მადლიერი ვარ, რადგან კრიტიკა მაძლიერებს.

- როგორც ვიცი, თქვენი დიდი სურვილია, ფილმი სკოლებისთვის დამზადდეს მასალა გახდეს, რათა ბავშვებმა არა მხოლოდ წიგნით, არამედ ვიზუალურადაც გაიცნონ თამარ მეფე და მისი ეპოქა. ფიქრობთ, სკოლებს შესაფერისია ეს იდეა?

- თამარზე ფილმის გადაღების ერთ-ერთი მიზეზი იყო იდეა, რომ სკოლებს ჰქონდეთ ვიდეოთეკა და ხელმისაწვდომი იყოს ასეთი ფილმები ბავშვებისთვის, რათა უკეთ გაეც-

ნონ კონკრეტულ ეპოქასა თუ პერსონაჟებს. თანამედროვე ტექნოლოგიურმა სახლებმა მოგვცა საშუალება, ახალგაზრდებმა ცოდნა მიიღონ არა მხოლოდ წიგნიდან, არამედ ეკრანიდანაც. დღეს ფილმი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული წიგნი და ფილმისადმი ინტერესი უფრო არის ხოლმე. აქედან გამომდინარე, გავიჩინე ეს იდეა.

- გეგმებზე რას გვეტყვით?

- როგორც იცით, შეგქმენით იუთუბარხი „კარდუ“ და მასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებაზე გფიქრობთ. დღეს სოციალური ქსელები მაყურებელამდე სათქმელის მიტანის ყველაზე იოლი საშუალებაა და „იუთუბი“ ამის კარგი მაგალითია, რადგან არ აქვს საზღვრები. ჩვენთვის ერთგვარი გამოწვევაა, „კარდუს“ გარშემო შევქმნათ ისეთი პლატფორმა, სადაც ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ჩვენი ისტორიით და კულტურით დაინტერესებულია, ჰქონდეს კარგი და ხარისხიანი პროდუქციის ნახვის შესაძლებლობა. შემდეგი ფილმი, რომელსაც აქ ნახავთ, არის 2023 წელს კულ-



ტურის სამინისტროს დოკუმენტური ფილმების კონკურსისთვის გადაღებული ფილმი „ვინ დაწერა ვეფხისტყაოსანი“. იგი შოთარ რუსთაველის ბიოგრაფიაზეა, ვინ იყო, რატომ გაუჩინარდა საქართველოდან და რატომ არ გვაქვს მასზე ბევრი ინფორმაცია. ჩვენ ისეთი განცდა გავიჩინე, რომ შეგნებულად

გააქრეს ისტორიული წყაროებიდან ეს ადამიანი. ამიტომ ფილმი იქნება ერთგვარი ძიება და ძებნა იმ პერსონისა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, დაწმენილი ვარ, ამ ფილმსაც დიდი ინტერესით დაელოდება მაყურებელი.



მოქალაქეები ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრას

3 ივნისს ფრიდონ ხალვაშის ქუჩაზე მდებარე ყოფილ სამხედრო შენობაში უსახლკარო ოჯახები და ეკომიგრანტები შეიკრნენ

მოქალაქეების თქმით, მათი ძალის გამოყენებით გამოყვანა მას შემდეგ გადაწყდა, რაც მათთან საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე მივიდა და დახმარებას დაჰპირდა. თუ რა დახმარებაზე იყო საუბარი, ამის გასარკვევად ისინი მეორე დღეს რამაზ ჯინჭარაძეს შეხვედნენ.

შეკრებილებმა აღნიშნეს, რომ 17 ივნისიდან ეკომიგრანტები, სოციალურად დაუცველები და იპოთეკით დაზარალებულები იწყებენ პერმანენტულ აქციებს ბათუმის მერიის მიმდებარე სკვერში.

„ჩვენ უნდა დავიწყეთ ბრძოლა იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა მიიღონ საცხოვრისი, რაც კანონითაა გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეზე. სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნა, რადგან ხალხი ამდენი ხანია ქუჩაში ცხოვრობს. ამ ადამიანების 90 პროცენტს ავადმყოფი შვილები ჰყავთ და არ სცალიათ ქუჩა-ქუჩა სიარულს“



ლისა და ბრძოლისთვის, ამიტომ ვიწყებთ აქციებს“, - აღნიშნა ნაილი ბუენიძემ. მაგული ფუტკარაძე კი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ უკვე 2 წელზე მეტია, ქუჩაში იმყოფებიან.

„ქუჩაში ვზივართ დღე და ღამე, არ აქვს მნიშვნელობა, თოვლი იქნება თუ წვიმა, რადგან საცხოვრებელი არ გავგაჩნია. აქცია გავმართეთ მერიასთან და მთავრობის სახლთან, მაგრამ ყურადღება არაფერს მოგვაკვირა. ამიტომ, იძულებულნი გავხდით, დავიწყეთ მუდმივი აქციები,

კარგებს გავშლით და იქ ვიქნებით. ჩვენ საკრებულოს ძალიან ბევრჯერ მივმართეთ განცხადებით, თუმცა რეაგირება არ ყოფილა“, - აღნიშნა მაგული ფუტკარაძე.

როგორც დაზარალებულებმა გვითხრეს, რამაზ ჯინჭარაძემ მათ შეხვედრაზე უთხრა, რომ უსახლკართო პირობების მოგვარება მას არ შეუძლია, თუმცა ეკომიგრანტებს სახელმწიფო გამოუყოფს თანხას 50000 ლარის ფარგლებში და თანადაფინანსებით შეეძლებათ ბინის ქირის გადახდა.

„გმირთა ხეივანი“ რეაბილიტაციაზე 25,4 მილიონი ლარი დაიხარჯა

ბათუმს ახალი დასასვენებელი სივრცე შეემატა

ყოველი შარტავას სახელობის გმირთა ხეივისა და ქვეითა გადასასვლელი ხიდის საზეიმო გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე დაესწრო.

პროექტის ფარგლებში გამოიკვლია მიწისქვეშა კომუნიკაციები, მოეწყო სარწყავი სისტემა, საფეხმავლო ბილიკები, კომერციული და მოსასვენებელი სივრცეები, შადრევნები, ველოსადგომები.

დამონტაჟდა სხვადასხვა დეკორატიული სანათები.

რეგიონის კლიმატური პირობების შესაბამისად, ხეივანში შეიკვლია და განაზღვრა დენდროლოგია, დაირგო სხვადასხვა ჯიშის 12 000 მწვანე ნარგავი. ასევე, დასრულდა ხეივის მონაკვეთების დამაკვირვებელი 3 ლითონკონსტრუქციის ქვეითა ხიდის მშენებლობა.

შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ხიდებზე განთავსდა ლიფტები. ქვეითა სახიდე გადა-

სასვლელი, პანდუსთან ერთად, უზრუნველყოფს კავშირს როგორც სამხაწილიანი ბულვარის მონაკვეთებს შორის, ისე ბულვარის კავშირს სანაპიროსთან.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25,4 მილიონი ლარით დაფინანსდა „გმირთა ხეივის“ რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.



ბათუმში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეტენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა

უწყების ცნობით, სპეციალური ოპერაცია ქალაქ ბათუმში ორ მისამართზე ერთდროულად ჩატარდა. დაკავებულების საცხოვრებელი სახლებიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხელეწიფარები, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სიმბოლიკიანი დროშები და გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა მტკიცებულებები ამოიღ-

ეს. „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 328-ე მუხლებით აწარმოებს, რაც 3-დან 6 წლამდე და 10-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს კონტრტერორისტული ღონისძიებები დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოსთან“ კავშირების იდენტიფიცირების მიზნით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ჩაქვში ძალისხმობის ბაზა გახსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, ჩაქვის ძალისხმობის ბაზა გახსნა



ბაზისთვის აშენდა ახალი სამსართულიანი შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია ყველა სახის ინფრასტრუქტურით და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

პირველი სართულის ძირითადი ნაწილი მოიცავს 180 მაყურებელზე გათვლილ საშეგებრო და სავარჯიშო დარბაზებს, მეორე და მესამე სართულზე საოფისე და მოსასვენებელი სივრცეები, საკონფერენციო დარბაზი და სასტუმრო ნომრებია განთავსებული ჩამოსული სპორტსმენებისთვის.

პროექტის ბიუჯეტი 4 794 361 ლარია.

გახსენება ღვანდით - ოლიგოპირი

ედღენება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის, პროფესორ აკაკი ზოიძის ხსოვნას

მთის წიაღის შობილი, მოდგმით მკვირი ბრილიანი, კაცობრიულ ღირსებით იყავ მუდამ პირველი. გამზვევებდა ცისკრული ინტელექტი ხალასი, ელეგანტურ იერიით მოკრძალება, თავაზი. ზნე-ბუნებით იყავ ვით თაფლნაღვნი ბადავი, ერთგულედა-სიმართლის ქალამ-ფუნჯით ნაქარგი გამკობდა ზეკაცური შემართება, ტალანტი, სძლიე ლაბირინთული კბოდე, აღმართ-დაღმართი. იდეალთა აღმასვლის იყავ ძალა, ტიტული, პროფესორულ-პრესტიჟულ დვაწლით კოლორიტული. სიმხნით გადიდგულედა

ჭაპნის წვევა ხარული, მზის ჭაღვივთ განთებდა სამშობლოს სიყვარული. უანგარო სიკეთის სიუხვით საოცარი, საარაკო ოჯახის იყავ მამა - მოძღვარი. თავს იჩენდი წინაპრულ მარიფათით შებენული კლარჯულ ღვინო-კალმახით სუფრადამშვენებულ. წუთისოფელს გაშორდი ვალმოხდილი, ჭარმაგი, ციურ სასუფეველში დაიმკვიდრე ალაგი. ყვავილებით კეკლუცობს შენი ხსოვნის ლარნაკი, უკვდავების წალკოტად მოგლენილო აკაკი!

Ⓡ გურამ არქენაძე (არქენაძე)

ბაჭეთი «აჭარა» ბთავაზობთ ნებისმირი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ ბაჭეთი «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

ურთხევი იქილება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციბრუსით. დაგვიკავშირდით მოგილურზე: 574 01 25 62. იპითხეთ ასლანი.

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარინა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბაჭეთი აჭარა და ალსურია»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. პაღვანაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლავის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>აიწყო და აკაბალონა</p> <p>ბაჭეთი აჭარის» ქოფ. ცენტრი</p> <p>დასაბუჯად ხელმოწერილია 6/06/24, 18 სტ.</p>	<p>დირექტორი</p> <p>გამუკა გარიკა</p>
---	---	--	---	---	---



ბათუმელი და ტრაპიზონელი მხატვრების ერთობლივი გამოფენა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ხელოვნება ის სფეროა, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა ქვეყანა კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშიროს ერთმანეთთან, ამა თუ იმ მიმართულებით კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს მათი ურთიერთობა“ - გვითხრა ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელმა, მხატვარმა გურამ ფუტყარაძემ, რომელიც სკოლის გაღვრებაში ბათუმისა და ტრაპიზონის მხატვრების ნამუშევრების ერთობლივ გამოფენას მასპინძლობს.



ხელოვნების მოყვარულებს 8 ივნისის ჩათვლით შეეძლებათ ორი კულტურისთვის დამახასიათებელი ნამუშევრების დათვალიერება. როგორც გურამ ფუტყარაძემ გვითხრა, ტრაპიზონელი მხატვრებთან ერთად, როგორც ბათუმში, ასევე ტრაპიზონში, ხშირად აწყობენ ერთობლივ გამოფენებს და ამით ხელს უწყობენ დამეგობრებულ ქალაქებს უფრო მეტად დაახლოებას. მისივე თქმით, აშუალოდ გამოფენა ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსულის ინიციატივით იმართება, რომელზეც 6 მხატვრის 60-მდე ნამუშევარია გამოფენილი.

ოფიცრად თანამშრომლობენ ბათუმელ მხატვრებთან.

- მოხარული ვარ, რომ ბათუმში ვიმყოფები და კიდევ ერთხელ მიძღვევა შესაძლებლობა, შევხვედეთ აქაურ, ძალიან გემოვნებიან და მთავალიერებელს. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ მხოლოდ და მხოლოდ თურქეთსა და საქართველოს შორის არსებობს ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა ხელოვნების სფეროში, სხვა მაგალითი არ მოიძებნება. ქართული მხატვრობა ძალიან განვითარებულია, მყარი ტრადიცია გააჩნია და ღირსეულ სიტყვას ამბობს მსოფლიო მხატვრობაში. რაც შეეხება ჩემი ნამუშევრების თემატიკას, ძირითადად, აბსტრაქტულია და

ის გეოგრაფიული არაა აღწერილი, სადაც ვცხოვრობ. ვხატავ იმას, რასაც ვხედავ, ჩემს ფანტაზიებსაც ვამატებ და ასე იქმნება ტილოები. ზოგადად, ხელოვნება არ არის ბუნების „კოპირება“, მას შენეული ხედვა, წარმოსახვა უნდა დაუმატო და ისე გადმოსცე, რომ მხატვრობაში საინტერესო ემოცია გამოიწვიოს. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმს გულთბილი დახვედრისთვის. ჩვენი მეგობრობა მომავალშიც არაერთი საინტერესო ღონისძიების იდეას გააჩენს, რომელსაც, მგერა, ერთობლივად შევასახმთ ფრთებს, - აღნიშნა ექვრემ ქუთლუშმა. გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვრებს რაიფ ქალიონჯუს, ქენან დემირს, ექვრემ ქუთლუშს, მალხაზ კოჩლიძეს, ლადო შარაშიძესა

და გურამ ფუტყარაძეს მადლობა გადაუხადა თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ბათუმში რიზა ქაღან ილმაზმა. - ჩვენი ხელოვნება გვაკავშირებს და დღეს კიდევ ერთხელ გავხვდით ამის მოწმე. დარწმუნებული ვარ, ხელოვნების სფეროში, განსაკუთრებით კი მხატვრებს შორის მჭიდრო ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ უფრო განმტკიცდება, - აღნიშნა გენერალურმა კონსულმა.

გამოფენის გახსნას დაესწრო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა მხატვრებს, თურქეთის გენერალურ კონსულს ბათუმში და აღნიშნა, რომ სამინისტრო ყოველთვის მზადაა, ხელი შეუწყოს ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას, რაც კულტურათაშორის დიალოგს მომავალში კიდევ უფრო მრავალფეროვნად გახდის.

„იმპრო“ - მასტერკლასი სამსახიობო პროგრამის სტუდენტებისთვის

მარიამ ხოთაბაძე 27 48 93

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, დრამისა და კინოს სამსახიობო პროგრამის სტუდენტებისთვის რეჟისორმა იოსებ ბაკურაძემ მასტერკლასი გამართა.

მასტერკლასი „იმპრო“ „მოძრაობის თეატრსა“ და ხელოვნების უნივერსიტეტის შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან კოორდინირებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ „მოძრაობის თეატრი“ ხელოვნების უნივერსიტეტთან 2023 წლის 2 ივნისს გაფორმებული მემორანდუმით თანამშრომლობს.

მასტერკლასმა მოიცვა ჯგუფური და ინდივიდუალური სავარჯიშოები, თეატრალური თამაშები - მსახიობებისთვის, იმპროვიზაცია და მისი წესები...

- სასცენო მოძრაობა სამსახიობო ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. „მოძრაობის თეატრი“, რომლის ძირითადი გამომსახველობითი საშუალება სხეულის მოძრაობაა, მისი წარმომადგენლის, ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატ იოსებ ბაკურაძის აქ ჩამოსვლა და მასტერკლასის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლებით „მოძრაობის თეატრთან“ ურთიერთობაში, ძალიან ბევრი მიზანი და ამოცანა გვაქვს დასახული, - განაცხადა ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა თემურ კეჟერაძემ.

- მადლობელი ვარ ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ თემურ კეჟერაძის და უშუალოდ ამ პროექტის კოორდინატორის, ქალბატონ მარბე ტულუშის, რომ მომიცეს საშუალება, შევხვედროდი სტუდენტებს. სამწუხაროდ, იმპროვიზაცია ჩვენთან არ ისწავლება. როცა სტუდენტი ვიყავი, არც მე იმსწავლია. მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ შეიძლება იმპროვიზაციის წესებს გაეცნო და თეატრალურ სავარჯიშოებში გადაიტანო. ძალიან ყოჩაღები არიან ის სტუდენტები,

რომლებმაც ეს მასტერკლასი გაიარეს. მინდა, აღვნიშნო, რომ ისინი ღია არიან ყველაწიანი სახლისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლოდ როგორც უნივერსიტეტისთვის, ისე თეატრისთვის. მინდა, ასევე, მადლობა გადავუხადო ბატონ გიორგი ქათამაძეს, რომელმაც საშუალება მომიცა, მის ჯგუფთან მიმეშვა. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც კოლეგისგან ასეთ მზაობას ხედავ. ბატონი გიორგი ორიენტირებულია თავისი სტუდენტების განვითარებასა და წინსვლაზე. წარმატებებს ვუსურვებ მას და მის სტუდენტებს, - გვითხრა იოსებ ბაკურაძემ.

- ჩვენთვის, თითოეული სტუდენტისთვის ბატონ იოსებთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნო იყო. პირადად მე საკმაოდ ბევრი რამ შევიტყვე საკუთარ სხეულზე, ბევრი დაბრკოლება გადავლახე. საკუთარ თავში ისეთი რაღაცეები აღმოვაჩინე, რაც აქამდე არ ვიცოდი. ეს ყველაფერი, დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ უფრო მეტად დამეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოხატვაში. მოგესხნებათ, მსახიობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სუნთქვისთან დაკავშირებული სავარჯიშოებიც, რომლებიც ამ მასტერკლასის ფარგლებში გავაკეთეთ. ვფიქრობ, ამ ორ დღეში ბევრი რამ გავიგეთ და იმეღია, შემდეგშიც მოგვეცემა შანსი ბატონ იოსებთან შეხვედრის. მადლობას ვუხდით ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ თემურს. იმეღია, კიდევ ჩავერთვებით მსგავს პროექტებში, რომ საკუთარ თავზე უფრო მეტი გავიგოთ. მსახიობებისთვის ეს მასტერკლასი ძალიან საჭირო იყო, - გვითხრა დრამისა და კინოს სამსახიობო პროგრამის II კურსის სტუდენტმა მარიამ ენდელაძემ.

მასტერკლასი განხორციელდა რეჟისორ გიორგი ქათამაძის ჯგუფის - დრამისა და კინოს სამსახიობო პროგრამის II კურსის სტუდენტთა ბაზაზე. მონაწილეობა მიიღო პირველი კურსის სტუდენტების ნაწილმა. ორგანიზატორები მადლობას უხდებიან პედაგოგ გიორგი ქათამაძეს მხარდაჭერისა და აქტიური ჩართულობისთვის.



შეხვედრა - მწერალ ანზორ კულბასთან

მარიამ ხოთაბაძე 27 48 93

აჭარის მწერალთა სახლში პროექტი „მწერლის საათი“ ფარგლებში, მწერალ ანზორ კულბასთან შეხვედრა გაიმართა. იგი პროზაიკოსი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე გახლავთ.

დაიბადა ქალაქ ბათუმში 1941 წლის 21 დეკემბერს. 1962 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1970 წელს - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფურნალისტიკის სპეციალობით. გამოცემული აქვს წიგნები: „ზენა ქარი“ (1994 წ.), „სიცოცხლის დედა“ (1997 წ.), „აპოკალიფსი“ (2000 წ.), „უშაპო ფაში“ (2004 წ.), „ფიქრის სავარძელი“ (2013 წ.), „დროის წიგნი“ (2015 წ.), „ჩრდილის ნუ მომიკლავთ“ (2019 წ.), „ეგვილი“ (2020 წ.). თარგმნა რუდოლფ შტიინერის „საკვირაო მედიტაციები“. სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის რადიოკომიტეტის კორესპონდენტად, ჟურნალ „ჭოროხის“ პროზისა და პუბლიცისტიკის განყოფილების გამგედ. როგორც საქართველოს პარლამენტის 1990 წლის მოწვევის დეპუტატი, არის საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერილი. ბატონი ანზორი საპატიო ბათუმელია, მინიჭებული აქვს აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის, ქართული კულტურის ამბავდარის, წარმატებული ხელოვანის“ წოდებები. ასევე, არის აბუსერიხძე ტბელისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.



- სიმართლე გითხრათ, ცოტა მეუხერხულეა საკუთარ თავზე, ჩემს შემოქმედებაზე საუბარი. მიხარია, შეხვედრა რომ მომიწვეს. ჩემს რამდენიმე წიგნზე, აფხაზეთზე ვისაუბრეთ... გამოვიტყუდებით და, ამ ასაკშიც კი, როცა არ ვწვივ, ის დღე თითქოს ამოვარდნილია კალენდრიდან. გაუმდებელი ასეთ მდგომარეობაში ვარ, - გვითხრა ანზორ კულბამ.

- აჭარის მწერალთა სახლის პროექტი „მწერლის საათი“ ძალიან საინტერესოა. ბათუმელებს ვურჩევ, როცა ეს ინფორმაცია გამოქვეყნდება, მოზარდნი და ჩვენს მწერლებს მოუსმინონ. დღეს ბატონ ანზორ კულბას შეხვედრით. დარწმუნებული ვარ, თითოეულმა ჩვენგანმა ისიამოვნა. ბატონი ანზორი ძალიან დიდი ღონის მწერალია. როცა ეს ადამიანი ბათუმის ქუჩებში დადის, ამ დროს ახალ წიგნზე და რომანზე ფიქრობს. ახლა ხელში მისი ერთ-ერთი წიგნი მიჭირავს სახელწოდებით „ეგვილი“. იცით, ეგვილი რას ნიშნავს? სამოთხის კართან მდგარი ანგელოზს. მწერალი სწორედ სამოთხის კართან მდგარი ის ანგელოზია, რომელიც ყოველი ჩვენგანის სულის კარს ადებს. წარმატებებს, დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ მას, - გვითხრა პოეტმა ბელა ქებურამ.